# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან • ფასი 1,5 ლარი

№46-47 (9877-9878) 2025 წლის 31 მარტი, ორშაბათი


## ტრაგედიის დღეები...



## სააკაშვილს, დაგომისის ხელშეკრულებით, კონსტიტუციური წესრიგის აღდგენის უფლებაც არ ჰქონდა!

3

# ეს იყო ღალატი!



## 31.03.1991–31.03.2025

ჯემალ დავლიანიძე

# მტრის ჯიბრზე!

*უძინებელ მტერს ბევრს დაუხეთქა ზვიადმა გული 1991 წელს ჩატარებული რეფერენდუმით!..*

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ გაერთიანებული, ანტიქართული ძალების მოქმედებათა საპასუხოდ 1991 წლის 31 მარტს საქართველოში ჩაატარა რეფერენდუმი ერთადერთი კითხვით:

„თანახმა ხართ თუ არა, აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის საფუძველზე?“

ზვიადმა, 3 266 285 ამომრჩევლის ხმით, მთელ მსოფლიოს მკაფიოდ გააგონა ქართველი ერის ამოძახილი – „დიახ!“ და მტრის ჯიბრზე კიდეც დაასკვნა:

„ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოს უზენაესმა საბჭომ, რეფერენდუმზე გამოხატული ხალხის ნების გათვალისწინებით, მსოფლიოს ცივილიზებულ ერთა წინაშე გამოაცხადოს საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე, რათა საქართველომ დაიკავოს ღირსეული ადგილი მსოფლიოს სუვერენულ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში!“

იხ. 15 გვ.

# ტრამპის ხუშტურებმა ევროპა გამოაღვიძა!

4





## ალექსი ალექსიშვილი

# მეგრელთა საქმე

8 9

პაატა ნაცვლიშვილი

## ფეისბუქი-2024 რჩეული პოსტები

11

მამული ხუხუნაია

## ტანზე ჩოხასავით მორგებული კანონი,



6

ანუ ოცდათხუთმეტწლიანი ბრძოლა სამართლის ძიებაში...

## ძიუდოს ისტორია

ვაჟა დანელია

# „რბილი გზა“ საქართველოში




12 13

90 წლის წინათ გაკვალული...

საქართველოს რესპუბლიკა
ქირთათმენა ჩვენი ხვედრია
№46-47. ორშაბათი. 31 მარტი. 2025 წელი



# „სტრატეგიული პოლიტიკა“ სახედრისა და სტაფილოს შესახებ!..



შიდა მტრები



## წიწილებს შემოდგომაზე ითვლიან!..

**აი, დადგა ეს დღეც!**

**აი, მოგრძანდა 31 მარტი, საგანგებოდ შერჩეული და დაანონსებული ქართველთა წიაღ სასწაულებრივ პოლიტიკოსად, უზარმაზარ პრეზიდენტად ამოწვერილი ქალბატონი სალომე ზურაბიშვილის მიერ. ამ თარიღზე უსაშველოდ შორსმიმავალ იმედებს ამყარებდნენ ოპოზიციური პარტიები, საპროტესტო მოძრაობის მონაწილენი და ხელისუფლების შეცვლის მოსურნე ანალიტიკოსები...მოკლედ, დღეს რაღაც უსაშველოდ მნიშვნელოვანი უნდა თქვას ჩვენმა დიდმა...**

ანალიტიკოსები მიიჩნევდნენ, რომ თუ რამ გარღვევა არ მოხდება, თუ რამ გეგმა არ გამოცხადდება, დაღმავალი წინააღმდეგობის მოძრაობისთვის უარესი იქნება. ყველაზე სწორი იქნებოდა სალომე ზურაბიშვილის მეშვეობით ერთიანი ფრონტის შექმნა თავისი ჩრდილოვანი მთავრობით და ისეთი შინაარსით, სადაც პოლიტიკური პარტიები პრიორიტეტულნი არ იქნებიანო. ბიძინა ივანიშვილის საპირწონედ სალომე ზურაბიშვილიო! თუ ბიძინა არა, მაშინ ვინ? – ეს არის მთავარი კითხვა და თუ მას პასუხი არ გაეცა, ბიძინას ვერასოდეს შევცვლითო!

ამრიგად, დღეს, 31 მარტს, ახალი ლიდერი, ახალი იდეა უნდა იშვას. მასზეა ფსონი. ეს ახალი ლიდერი კი, თავის მხრივ, ევროკავშირზე ამყარებს იმედებს.

**ჩვენი გენიოსი ნაპრეზიდენტალი პრეზიდენტი დარწმუნებულია: ევროკავშირი შუამავალი უნდა გახდეს, მან უნდა ჩაატაროს ახალი არჩევნები, სხვაგვარად საქართველო ჩიხიდან ვერ გამოვა. ქალბატონი სალომე უნანავებს ოქროს იდეას–სანქციები კარგია, მაგრამ ევროკავშირმა უნდა მიმართოს სტრატეგიულ პოლიტიკას სახედრისა და სტაფილოს შესახებ (ვინც არ იცის: ვირს ცხვირთან სტაფილოს ჩამოუკიდებენ, ვირი გარბის, რათა სტაფილოს მისწვდეს, წინ მიდის და თავის სამუშაოს ასრულებს). ამ აზრის შესაჯერებლად პრეზიდენტი ახლახანს გალტიისპირეთს ეწვია.**

ამასობაში კი ოპოზიცია ხელიდან უშვებს მეორე დიდ შანსს მოახლოებულ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობისა (ესეც ექსპერტთა აზრია). და ეს მართლაც გამანადგურებელი დარტყმა იქნება პარლამენტიდან ყოვლად გაუმართლებელი „საპროტესტო" გასვლის შემდეგ. ამრიგად, ოპოზიცია ჯერჯერობით უარს ამბობს ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობაზე და ძალიანაც ცდება.

დღევანდელი რეალობა ასეთია: ოპოზიციას აგიჟებს, რომ ხელისუფლებამ კრიტიკული პერიოდი დაძლია–დასავლეთის სანქცია-განცხადებებს ანგარიშს არ უწევს. მან კი პარლამენტზე უარის თქმით თავისი ბერკეტები დაკარგა. ვერც ქუჩის აქციებით შეძლო არსებითი წარმატების მიღწევა, რომ მთავრობამ დანიშნოს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები და რაიმე რადიკალური თუ არ მოხდა, ოპოზიციის შანსი, რომ ახალ საპარლამენტო არჩევნებამდე მიაღწევს, სულ უფრო ილევა.

მოკლედ, ოპოზიცია დიდ შეცდომას უშვებს ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობაზე უარის თქმით, პოლიტიკის ექსპერტები სვამენ რიტორიკულ კითხვას: რატომ არ არის სწორი ტაქტიკა, რომ მონაწილეობა მივიღოთ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, „ოცნებას" საპარლამენტო არჩევნებში მოგებული თბილისი წავართვათ და მოვიპოვოთ 2-მილიარდიანი ბიუჯეტის განკარგვის შესაძლებლობა და იგივე გავაკეთოთ სხვა, მინიმუმ დიდ ქალაქებშიო?





## ქართველთმოძულე „მეგობრები“

კაცმა რომ თქვას, არავითარი რთული და იკლიკანტური პასუხი საჭირო არ არის, იმიტომ რომ ოპოზიციამ მშვენივრად იცის: ადგილობრივ არჩევნებშიც ისევე გაბითურდება, როგორც საპარლამენტო არჩევნებში. ისე რომ, კი ბატონო, ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობა მიიღეთ, მაგრამ „წართმეული თბილისის მოგებით და 2-მილიარდიანი ბიუჯეტის განკარგვის შესაძლებლობით" თავს ნუ აიტკივებთ. იგი ახლო ხედვითაც უტოპიას, ილუზიას ჰგავს...

მაგრამ საქმე ის არის, რომ მთელ ამ იწილო-ბიწილოს წერტილი დაუსვა 27 მარტს მამუკა მდინარაძის მიერ ბრიფინგზე გაკეთებულმა განცხადებამ, რომელიც მეხის გავარდნას ჰგავდა. ითქვა, რომ უკვე დაინიცირდა კანონპროექტი, რომელიც ნაციონალური მოძრაობისა და მისი სატელიტი პარტიების არაკონსტიტუციურად გამოცხადებას ისახავს მიზნად. მდინარაძემ საბოლოო პასუხი გასცა კითხვას, მიიღებენ თუ არა მონაწილეობას ბარიერგადალახული პარტიები ადგილობრივ არჩევნებში: აგენტურული ძალები ყოველთვის ისე იქცევიან, როგორც დამფინანსებელი უფროსები დაავალებენ. აი, ახლაც მათი დავალებით ისინი ჯერ კიდევ ლაპარაკობენ, რომ არ მიიღებენ მონაწილეობას, სინამდვილეში არა კი არა, ვერ მიიღებენ, ვერც თვითმმართველობის და ვერც ვერანაირ არჩევნებში მონაწილეობას! ამას უზრუნველყოფს ქართული სახელმწიფო და მისი კონსტიტუციური წესრიგი...ეს პარტიები არაკონსტიტუციურად გამოცხადდებიან და აეკრძალებათ საქმიანობაო.

რა თქმა უნდა, ამ განცხადებამ გამანადგურებლად იმოქმედა ოპოზიციაზე. თუმცა, გიორგი ვაშაძემ უმალ აიფარა ამერიკული იმედის ფარი: „ტყუილად იხარჯებით, ქოცებო. ამერიკის სენატის დღევანდელი გადაწყვეტილებით თქვენ უკვე გაუქმებული ხართ!"

რამ აღავსო იმედებით ჭიჭე ვაშაძე, სალომე სამადაშვილი და ძმანი და დანი მათნი?

27 მარტს აშშ სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა მხარი დაუჭირა სენატორ ჯო უილსონის ყბადაღებულ „მეგობარ აქტს", რომელიც გასულ წელს დარეგისტრირდა კონგრესის წარმომადგენელთა პალატაში.

ამ აქტის სრული სახელწოდებაა „საქართველოს ანგარიშვალდებულებების, გამძლეობისა და დამოუკიდებლობის შესაძლებლობის გაძლიერებისა და მობილიზაციის აქტი“.

**„მეგობარი აქტი" მარტის დასაწყისში უნდა განხილულიყო, მაგრამ 27 მარტისთვის გადაიდო, რამაც ზოგიერთს იმის იმედიც კი აღგვიძრა, აშშ-ის ახალი ადმინისტრაცია შეიძლება აღარც კი დაინტერესდეს მისითო. არ აღმოჩნდა ასე, მაგრამ ის კი ნაღდია, რომ ამ აქტს კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი იმისათვის, რომ კანონად იქცეს. ისე რომ, გიორგი ვაშაძის წინასწარმეტყველება, ამერიკის სენატის დღევანდელი გადაწყვეტილებით, ქოცები უკვე გაუქმებული ხართო, ოდენ პატარა კაცის ნანინანატრი ოცნებაა. არადა, წიწილებს ხომ შემოდგომაზე ითვლიან.**

დავუბრუნდეთ აქტს, რომელიც ერთი მხრივ ითვალისწინებს სანქციებს, მეორე მხრივ კი დახმარებას საქართველოში დემოკრატიული პროგრესის შემთხვევაში. მისი ძირითადი დებულებებია:

აშშ-საქართველოს ურთიერთობის სრული გადახედვა; ქართველი ხალხის მხარდაჭერა ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე; „ქართული ოცნების" ჩინოვნიკებისა და მათი მხარდამჭერების დასანქცირება; ხალხთა შორის კავშირებისა და თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის გაძლიერება; როცა საქართველო შესაბამისობაში იქნება საკუთარ კონსტიტუციურ მოთხოვნებთან, საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა; სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერა.

ცნობილი ანტიქართველი სენატორის ჯინ შაჰინის შეფასებით ეს აქტი არის მკაფიო მესიჯი ქართველი ხალხისთვის. ჩვენ მხარს ვუჭერთ ქართველ ხალხს, რათა დემოკრატიული მომავალი შეინარჩუნოს...მთავრობა პატივს არ სცემს კონსტიტუციას, ქართულ ტრადიციებს, იმედი მაქვს, რომ ჩვენს ამ გადაწყვეტილებაში ხალხი დაინახავს პოზიტიურ სიგნალებს...

**ამ ავი ქალბატონის ეს ვითომ კეთილმოსურნე განცხადება სასაცილო იქნებოდა, სატირალი რომ არ იყოს. მთავრობა პატივს არ სცემს ქართულ ტრადიციებსო. როგორც ჩანს, ქალბატონმა შაჰინმა ჯერ კიდევ ვერ მოინელა ის წყენა, რომელიც საქართველოში შარშან სტუმრობიდან გაჰყვა, როცა მოთხოვნის მიუხედავად არ მიიღო ბიძინა ივანიშვილმა. რაც მთავარია, იგი ცდილობს „მეგობარი აქტი" მართლაც მეგობრულ და მოსიყვარულე დოკუმენტად წარმოადგინოს. მკითხველი უმალ მიხვდება მის ავ-კარგს, როცა შეიტყობს, რომ ამ დოკუმენტის შედგენაში ცხოველ მონაწილეობას იღებდნენ ყველაზე რადიკალური, ყველაზე შეურიგებელი, ყველაზე მუხანათი ოპოზიციონერები.**

**ახლა მთავარია, როგორ წაიკითხავს მას აშშ-ის ახალი ადმინისტრაცია, რაც მთავარია, მიხვდება თუ არა, რომ ამ დოკუმენტს საფუძვლად უდევს საქართველოს სიძულვილი და არა სიყვარული, და ფაქტობრივად, უფრო აშორებს ორ ქვეყანას – ამერიკას და საქართველოს.**

**ალექსანდრე ალექსიძე**

საქართველოს რესპუბლიკა



„მიუხედავად იმისა, რა იყო სააკაშვილის მოტივი აგვისტოს ომში — ავანტიურა, თუ უცხო ქვეყნის დავალებით მოქმედება, ფაქტია, ეს იყო ღალატი, ამაში იყო მისი უშუალო ბრალეულობა, რაც დამთავრდა ქვეყნის სამხედრო პოლიტიკური კრახით და სამკვიდროს დაკარგვით. ცხადია, ამ საქმეში სამხედროების პასუხისმგებლობა არ დადგება, რადგან ისინი პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს არ იღებდნენ“, — აცხადებს ანალიტიკოსი დავით ზარდიაშვილი for.ge-სთან საუბრისას.




## დავით ზარდიაშვილი: სააკაშვილს, დაგომისის ხელშეკრულებით, კონსტიტუციური წესრიგის აღდგენის უფლებაც არ ჰქონდა, რადგან ამას მოჰყვებოდა რუსეთის სამხედრო რეაქცია

# ეს იყო ღალატი!

**— ნაცები ერთმანეთს მოუწოდებენ, არ წარდგნენ პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის წინაშე, რადგან ეს არის „ქართული ოცნების“ პროპაგანდაში მონაწილეობა. თუმცა მთავარი კითხვა, რაზეც ნაცების პოლიტიკურ თუ სამხედრო მაღალჩინოსნებს პასუხის გაცემა უჭირთ, ის არის, რატომ ვერ ბედავდა ვერც ერთი მათგანი აგვისტოს ომის დროს მშვიდობიანი მოქალაქეების გაფრთხილებას, რომ დაეცალათ ტერიტორია, რატომ აქციეს ადამიანები საზარბაზნე ხორცად?! ამას ხომ, სულ მცირე, კაცობრიობის ჰუმანური პრინციპები მოითხოვდა, რომ არაფერი ვთქვათ, ეროვნულ გრძნობებზე საკუთარი თანამოქალაქეების მიმართ?! რა გავიგეთ ახალი აგვისტოს ომის შესახებ საპარლამენტო კომისიის მუშაობის მსვლელობისას და ვინ შეიძლება დაექვემდებაროს ახლახანს აღმდგარ სამშობლოს ღალატის მუხლს?**

— პარლამენტის დროებით საგამოძიებო კომისიაზე ახალს ვერაფერს გავიგებთ აგვისტოს ომის შესახებ. უბრალოდ, ეს არის შეხსენება იმისა, რაც ჩაიდინეს ნაცებმა აგვისტოს ომში. ეს იყო კონსტიტუციის უხეში დარღვევა, თავისი უმძიმესი შედეგებიდან გამომდინარე. ეს იყო სახელმწიფოს სამხედრო პოლიტიკური კრახი, ტერიტორიული მთლიანობის რღვევა, ტერიტორიული ფრაგმენტაცია და სამკვიდროს დაკარგვა, 200-მდე სოფელი დაიკარგა. ის სოფლები აღარ არსებობს, მიწასთანაა გასწორებული. მათ ადგილას ან ცარიელი მინდორია, ან უღრანი ტყე.

**— ანუ რასაც სააკაშვილი ამბობდა ამ ქართული სოფლების შესახებ, რომ ეს იყო უმნიშვნელო ქვების გროვა და მათი დაკარგვა არაფერია, ახლა მართლაც ქვების გროვად იქცა ეს ადგილები.**

— დიახ, მიწასთანაა გასწორებული. ამდენად, დანაშაული თვალსაჩინოა. პირველ რიგში, ეს არის ომის დაწყება და ომის დამთავრება. არსებობს ტალიავინის კომისიის დასკვნა ომის დაწყების თაობაზე და ამაზე კამათს აზრი არ აქვს, რადგან ყველა ფაქტი დადგენილია. ეს იყო ცხინვალის მიმართ იერიშის შედეგად განვითარებული ესკალაცია, რასაც 8 აგვისტოს დილით რუსეთის არმიის შემოსვლა და სრულმასშტაბიანი ომი მოჰყვა საქართველოს წინააღმდეგ. სააკაშვილმა დაარღვია კონსტიტუცია, რადგან არაკონსტიტუციურად გამოიყენა შეიარაღებული ძალები, რისი უფლებაც არ ჰქონდა. სააკაშვილს შეიარაღებული ძალების გამოყენების უფლება არ ჰქონდა, სანამ 8 აგვისტოს დილით რუსეთის ჯარი არ შემოვიდოდა, მანამ არ იყო საგარეო თავდასხმა.

**— სააკაშვილს კონსტიტუციური წესრიგის აღდგენის უფლებაც არ ჰქონდა?**

—ამის უფლებაც არ ჰქონდა, რადგან სამართლებრივად შეზღუდული იყო დაგომისის ხელშეკრულებით. იქ არ შეიძლებოდა სამშვიდობო ძალების გარდა არავითარი შეიარაღების შეტანა, ერთი ჯარისკაციც არ შეიძლებოდა, დამატებით შეეყვანა. მან ეს დაარღვია, იცოდა, რომ ამას მოჰყვებოდა რუსეთის საპასუხო სამხედრო რეაქცია. რუსეთი დაგომისის ხელშეკრულებით იყო ვალდებული, ზომები მიეღო. ეს იყო ღალატი სამშობლოს წინაშე. ასევე, შეიარაღებული წინააღმდეგობის შეწყვეტის თვალსაზრისითაც ჩადენილი იყო ღალატი, რადგან მოსახლეობა დაუცველი დატოვა. ისე, რომ არავითარი საფუძველი არ ჰქონდა, ჯარს მისცა ბრძანება, სამხედრო წინააღმდეგობა შეეწყვიტათ.

**— ყველაზე მთავარი, ჩვენი მოსახლეობის ევაკუაცია არ მოახდინეს მაშინ, როცა მოწინააღმდეგეს თავისიანები გაჰყავდა სამშვიდობოს. ამის შესახებ საგამოძიებო კომისიაზე ითქვა, რომ ცხინვალში შესვლის ბრძანება თურმე იმისთვის გაიცა, რომ ქართული შენაერთებით მანევრირება მოეხდინათ და ხეობის მოსახლეობის ევაკუაცია განეხორციელებინათ. ეს ვერსია რამდენად დამაჯერებელია?**

— სინამდვილეში, არ სჭირდებოდათ ცხინვალის აღება, სამხედრო დანიშნულება ამას არ ჰქონდა, ახლა თავის გასამართლებლად რაღაცებს გზადაგზა იგონებენ, მაგრამ ეს ყველაფერი დიდი ხანია, გამოკვლეულია. იყო ფაქტების დამდგენი მისია, ჰაიდი ტალიავინს ვგულისხმობ, უზარმაზარი დოკუმენტია შედგენილი და იქ ყველაფერი ამომწურავადაა ახსნილი. ევაკუაციაზე მსჯელობა ტყუილია, ევაკუაცია უნდა განხორციელებულიყო მანამდე, ვიდრე შეიარაღებული დაპირისპირების აქტიური ფაზა დაიწყებოდა. როგორც კოკოითმა გააკეთა, გაიყვანა თავისი მოსახლეობა, ანალოგიურად შეიძლებოდა გაკეთებულიყო. „ნაცმოძრაობას“ არ უნდოდა ამის გაკეთება, რადგან ცხინვალზე შეტევა ეს იყო პოლიტიკური პიარაქცია და ევაკუაციის ჩატარება ამას ხელს შეუშლიდა. მათ არ ჰქონდათ არავითარი სურვილი, სერიოზული პოლიტიკური მიზნისთვის მიეღწიათ, უნდოდათ ცხინვალში შესვლა, მიტინგის ჩატარება, ეგონათ, როგორც კი რუსეთი რეაქციას მისცემდა, უკან დაიხევდნენ და კონფლიქტი ამით ამოიწურებოდა.







**— მაგრამ უკან დახევა უფრო წამგებიანი არ იქნებოდა?**

—უბრალოდ, ამით უნდოდათ ეჩვენებინათ, რომ ჩვენ შეგვიძლია ცხინვალის აღება. ეგონათ, მომგებიან პოზიციაში აღმოჩნდებოდნენ. ფაქტია, ეს პროვოცირებულ იქნა, რასაკვირველია, რუსებმა იცოდნენ ყველაფერი და მოხდა ის, რაც მოხდა.

საგამოძიებო კომისიაზე ითქვა კიდეც, რომ აჭარის დაბრუნებით ფრთაშესხმულ სააკაშვილს ჯერ კიდევ წლების წინ უნდოდა ცხინვალში შესვლა, მაგრამ მაშინ ჟვანიამ შეაჩერა.

**— ცხადია, ეს უნდოდა სააკაშვილს, ეს მანამდეც ვიცოდით. ასევე, ვიცოდით, 2004 წელს რაც გააკეთა, 2006 წელს როგორ დაიძაბა ვითარება. სააკაშვილი ცდილობდა, რაც გააკეთა აჭარაში, ანუ ძალისმიერი გადაწყვეტა, უფრო დიდი მასშტაბით გაემეორებინა ცხინვალის რეგიონში. ცხადია, რუსები ამის საშუალებას არ მისცემდნენ.**

**— თუმცა მანამდე სააკაშვილს პუტინი შეჰპირდა ცხინვალის რეგიონის დაბრუნებას ისევე უმტკივნეულოდ, როგორც ეს მოხდა აჭარის შემთხვევაში. უბრალოდ, ამისთვის ერთ წელს ითხოვდა პუტინი, მიშა კი ერთწლიან ლოდინს არ აპირებდა. რეალურად შედგებოდა ასეთი საუბარი, პუტინი დათმობდა ცხინვალის რეგიონს?**

— პუტინი არ დათმობდა ამ რეგიონს. ეს იყო თამაში სააკაშვილთან და მისი პროვოცირების მცდელობა. სააკაშვილმა ეს ისეთნაირად გაიგო, თითქოს რუსეთს აღარ აქვს ინტერესი ცხინვალის რეგიონის მიმართ და სამჯერ სცადა ამის გაკეთება – 2004-ში, 2006-ში და ბოლოს 2008-ში. განსაკუთრებით, ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილების შემდეგ, ნატოში მიღებას რომ დაგვპირდნენ, გული მოეცა და იფიქრა, პუტინი ვერაფერს გაბედავსო და დრო იხელთა. მით უმეტეს, მაშინ ოლიმპიადა იხსნებოდა პეკინში. პუტინის დაპირებას წამოეგო სააკაშვილი. გავიხსენოთ, მაშინ ეკა ტყეშელაშვილი იყო საგარეო საქმეთა მინისტრი... სანამ ევროსაბჭოს ცნობილ რეზოლუციას მიიღებდნენ, მანამდე იყო მოსმენები საპარლამენტო ასამბლეაზე, ეკა ტყეშელაშვილი იყო ჩასული და გერმანელმა დეპუტატმა ჰკითხა, „თქვენ შეგეძლოთ გევარაუდათ, რომ თქვენს ამ ნაბიჯს – ცხინვალზე თავდასხმას შეიძლება მოჰყოლოდა რუსეთის პასუხი – სრულმასშტაბიანი აგრესია, ამდენი მსხვერპლი, ნგრევა და უბედურება?“ „ვიცოდით“, – ისეთნაირად უპასუხა ტყეშელაშვილმა, თვალიც არ დაუხამხამებია. გერმანელი გაოგნდა და ვერაფერი უთხრა. რეზოლუციაც მიიღეს, სადაც წერია ის, რაც რეალურად მოხდა. რუსეთის დანაშაული ამით არ იხსნება. თუ საერთაშორისო სამართლით შევაფასებთ, მას ჰქონდა უფლება, ზომები მიეღო და სამხედრო დაპირისპირება აღეკვეთა, მაგრამ არავითარი უფლება არ ჰქონდა, რომ თავის მანდატს გადააჭარბა და განახორციელა აგრესია, შემოვიდა კონფლიქტის ზონის გარეთ, აიღო გორი, მოიწევდა თბილისისკენ, მოახდინა ამ ტერიტორიის ოკუპაცია, დატოვა თავისი სამხედრო ძალები, არ დაბრუნებია საწყის პოზიციას, დაარღვია მედვედევ-სარკოზის ცნობილი შეთანხმება. რაც მთავარია, ცინიკურად აღიარა ე.წ. სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად. სააკაშვილს რაც არ უნდა ჩაედინა, რუსეთს ეს არ გაამართლებს.

**—თქვენ მოელით, რომ ამ საგამოძიებო კომისიის დასკვნის შემდეგ აიკრძალება „ნაცმოძრაობა“, მისი სატელიტები და სააკაშვილს კიდევ რამდენიმე წლით დაუმძიმდება ბრალდება?**

— რასკვირველია, ამას ველი. პირველ რიგში, აქ სააკაშვილის ბრალეულობაა, მას ეკისრება პასუხისმგებლობა, როგორც უმაღლეს მთავარსარდალს.

**— მარტო სააკაშვილის ბრალდებაზეა საუბარი?**

— ცხადია, არა, აქ მთელი ეროვნული უშიშროების საბჭოსა და „ნაცმოძრაობის“ მთელი პოლიტიკური ლიდერშიპის პასუხისმგებლობა გამოიკვეთება, ვინც ჩართული იყო ამ მოქმედებებსა და გადაწყვეტილებების მიღებაში. ცხადია, სამხედროების პასუხისმგებლობა არ დადგება, რადგან ისინი პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს არ იღებდნენ. ველოდები, რომ სააკაშვილს სახელმწიფო ღალატის მუხლს წაუყენებენ. თუ 307-ე მუხლი აღდგა – სახელმწიფო ღალატის მუხლი, ეს სამუდამო პატიმრობას ითვალისწინებს. წესით, ასეც უნდა იყოს, რადგან ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე დანაშაული, რაც მთლიანად საქართველოს ისტორიაში ვინმეს ჩაუდენია. ამას მოჰყვება „ნაცმოძრაობის“ და მისი სატელიტების აკრძალვაც.

**— საგამოძიებო კომისიის მუშაობის მეტი დამაჯერებლობისთვის ხომ არ ჯობდა კომისიაზე მიეწვიათ გამოცდილი სამხედროები, რომლებიც „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლებს წონადი არგუმენტებით დაუპირისპირდებოდნენ? ცალკეული ადამიანები იმასაც ამბობენ, რომ სულ არ არიან „ნაცმოძრაობის“ მომხრენი, მაგრამ მათში პატივისცემა გამოიწვია სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ადამიანების, თუნდაც გაერთიანებული შტაბების ხელმძღვანელის ზაზა გოგავას დანახვამ, რადგან, მათი აზრით, მეომარი ადამიანი დასაფასებელია.**

— ზაზა გოგავას რაც შეეხება, რაში გამოიხატებოდა მისი გამოსვლის სიძლიერე? ზაზა გოგავას ყველა კითხვაზე ცალსახა პასუხი არ გაუცია. მით უმეტეს, კოდორის ჩაბარება არანაირად არ იყო გამართლებული, არც სამხედრო თვალსაზრისით, ზაზა გოგავამ ხალხის გაფრთხილება ვერ შევძელიო, ეს რას ნიშნავს? ზოგადად, სამხედრო გამოძიება კიდევ ცალკეა, ეს კი პოლიტიკური შეფასებისთვის კეთდება. პარლამენტის საგამოძიებო კომისიის მხრიდან ის პოლიტიკური გადაწყვეტილებები უნდა შეფასდეს, რამაც სამხედრო კატასტროფა განაპირობა.

**— ალბათ, სამხედრო ისტორიაში ანომალიად შეიძლება განვიხილოთ ის ფაქტი, ჟურნალისტებს და მიტინგის ინვენტარს რომ ელოდნენ ნაცები და ამიტომაც 8 აგვისტოს 7-8 საათის დაგვიანებით დაიწყეს საბრძოლო მოქმედებები. ეს ზუსტად სააკაშვილის ხელისუფლების ხელწერაა.**

— ეს ერთი და პლუს ამას, ომის შეწყვეტას რაც შეეხება, საერთოდ მოიშალა შეიარაღებული ძალების მართვა, ორგანიზებული წინააღმდეგობის გაწევა შეუძლებელი გახდა, ამისთვის მომზადებულები არ იყვნენ, ელემენტარულად, კავშირგაბმულობის საშუალებებად იყენებდნენ ჩვეულებრივ ტელეფონებს, რაციებიც კი არ ჰქონდათ. ეს იყო სამარცხვინო კრახი...

ესაუბრა
**მანანა ნოზაძე**



## ვახტანგ ძაბირაძე:

# ტრამპის ხუშტურებმა ევროპა გამოაღვიძა!

ევროპამ ამერიკელებს თავი მოაბეზრა. ამერიკა ცდილობს, გათავისუფლდეს და ხელი აიღოს მუქთამჭამელი ევროპელების შენახვაზე, მაგრამ არც მუქთამჭამელები არიან გულხელდაკრეფილნი. ისინი ჩინეთთან და ინდოეთთან დაახლოებას ცდილობენ, ანუ უახლოვდებიან მათ, ვისთან დაახლოების გამოც საქართველოს ზრახავდნენ.

ამერიკას სურს, რუსეთი ჩამოაცილოს ჩინეთს, მაგრამ ამ დროს ხელიდან ეცლება ევროპა, რომელიც, ასევე, შემჩნეულია ჩინეთთან და ინდოეთთან დაახლოების მცდელობაში. ტრამპის ადმინისტრაციის პირობებში ევროპა მიხვდა, რომ საკუთარი მომავალი თავად უნდა გამოჭედოს და არც ვაშინგტონზე იყოს დამოკიდებული, არც მოსკოვზე. მომავლის ძიებაში კი ევროპელები უფრო მეტად დაინტერესდნენ აღმოსავლეთის ქვეყნებით.

**საუკუნეში ერთხელ ხდება ხოლმე გავლენებისა და ქვეყნიერების გადანაწილება და ზუსტად ეს პერიოდია ახლა...**

**ევროკომისიის პრეზიდენტი ურსულა ფონ დერ ლაიენი არ მალავს, რომ ინდოეთი და ჩინეთი ტრამპის ამერიკის ალტერნატივაა. ალბათ, ამიტომაცაა, რომ ტრამპის მკაცრი გზავნილების შემდეგ ევროკომისიის მეთაური პირველად ჩავიდა ინდოეთში. ამავდროულად, ლაიენმა მოითხოვა ევროპის დაახლოება ჩინეთთან. უფრო მეტიც, ლაიენი მოუწოდებს აშშ-ს, კონსტრუქციულად იმუშაოს პარტნიორებთან, მათ შორის, ინდოეთ-ჩინეთთან, რადგან ეს ყველას კეთილდღეობას მოუტანს.**

ლაიენის მსგავსად, მაკრონიც ეძებს ალტერნატივას. **„ევროპის მომავალი არ უნდა წყდებოდეს არც ვაშინგტონში, არც მოსკოვში“,** – ამბობს **მაკრონი** და ევროპული არმიის გაძლიერებას გეგმავს.

პარალელურად, ევროკომისიის პრეზიდენტი ურსულა ფონ დერ ლაიენი მსოფლიოს აუწყებს, რომ ევროკავშირი თავდაცვის დაფინანსებას 800 მილიარდი ევროთი ზრდის.

რას მოუტანს ევროპელებს ამერიკის ალტერნატივის ძიება აღმოსავლეთის მიმართებით, ანუ ჩინეთ-ინდოეთისკენ გეზის აღება?!

* * *



**ანალიტიკოსი გია აბაშიძე** მიიჩნევს, რომ, ზოგადად, ევროკავშირი პოლიტიკურ-ეკონომიკური ბლოკია და, წლების მოუხედავად, მან ვერანაირად ვერ შეძლო, ნატოს სამხედრო ყულაბაში უფრო მეტი თანხა გაეღო, რაც მოეთხოვება ყველა წევრ ქვეყანას. გარდა ამისა, ევროკავშირმა ვერ შექმნა საკუთარი ე.წ. ევროპული არმია. უბრალოდ, ევროპელები ძალიან ბევრს ლაპარაკობენ, საქმით კი ყველაფერი ქაღალდზე, რეზოლუციებსა და ბრტყელ-ბრტყელ ფრაზებში რჩება.

**„ევროკავშირი ეწინააღმდეგება ტრამპს და თავად სურს, გეოპოლიტიკურ აქტორად ჩამოყალიბდეს. ეს უშანსო თამაშია, რადგან ევროკრატია უკვე შეტორტმანებულია და მათ არ ჰყავთ ძლიერი და ქარიზმატული ლიდერები, რაც თავის დროზე ევროპას ჰყავდა, დღიდან მისი ჩამოყალიბებისა. გასულ საუკუნეებში ევროპელებს უძლიერესი ლიდერები ჰყავდათ, რომელი ერთი ჩამოვთვალოთ – დე გოლი, ტეტჩერი, მიტერანი.**

**ახლა ჩვენ ვხედავთ დასაცინ კლოუნადას, მაკრონი დღეს ერთს ამბობს, ხვალ მეორეს, შოლცი იმუქრება და ამ დროს უკვე წარმავალი კანცლერია. მათ არანაირი პოლიტიკური შნო არ გააჩნიათ იმისთვის, რომ თავად შექმნან სამხედრო პოლიტიკური ალიანსი. თუ ჩინეთისკენ სვლა უნდათ, ჩინეთს თავისი ეკონომიკური დღის წესრიგი აქვს და მას სურს დაბალი ტარიფებით მოახდინოს ეკონომიკური წყალდიდობა ევროპაში. მზად არის კი ამისთვის ევროკავშირი?! რეალურად ხომ ევროპაში სოციალურ-ეკონომიკური შეჭირვებაა და იაფი ჩინური პროდუქცია წალეკავს ევრობაზრებს, სადაც უმუშევრობა და წარმოების შეჩერება გარდაუვალია. ევროპა ამისთვის მზად არ არის“,** – აცხადებს **გია აბაშიძე** for.ge-სთან საუბრისას.

მისივე განმარტებით, ამ გეოპოლიტიკურ გადანაწილებაში, მოგვწონს თუ არა, იკვეთება სამი მთავარი ძალა – შეერთებული შტატები, რუსეთი და ჩინეთი. საუკუნეში ერთხელ ხდება ხოლმე გავლენებისა და ქვეყნიერების გადანაწილება და ზუსტად ეს პერიოდი ახლა დადგა. ევროკავშირი არაფერს წარმოადგენს. დღემდე ევროკავშირს ნატოს სამხედრო ქოლგა იფარავს, სადაც ლიდერი და დომინანტი შეერთებული შტატებია. შეერთებული შტატები ეუბნება ევროკავშირს, მე დაგიცავ, არსად წავალ, მაგრამ თქვენც გაიღეთ თქვენი შესატანი, რასაც ევროპელები არ აკეთებენ. ახლა გამოაცხადა 800-მილიარდიანი პაკეტი ურსულა ფონ დერ ლაიენმა, რომელსაც წინააღმდეგობა აქვს არა მხოლოდ უნგრეთიდან, სლოვაკეთიდან, არამედ საფრანგეთიდან, იტალიიდან, ესპანეთიდანაც კი. საეჭვოა, ამ პოლიტიკურ აჯაფსანდალში ჩამოყალიბდნენ, წინ წაიწიონ და უახლოეს პერიოდში რაიმეს მიაღწიონ. მით უმეტეს, ამ ლიდერების და უნამუსო ევროკრატების ხელში. არადა, წესით, ევროპელების ინტერესებში უნდა იყოს სამხედრო, ეკონომიკური, სოციალური უსაფრთხოება.

* * *



**ანალიტიკოსი ვახტანგ ძაბირაძე** მიიჩნევს, რომ დაპირისპირება ამერიკასა და ევროპას შორის არახალია და ადრეც ყოფილა, როდესაც საქმე ეხება ვაჭრობას. გასაგებია, რომ ტრამპს სურს ჩინეთსა და რუსეთს შორის ნაპრალი გააჩინოს, მაგრამ ეს ბოლომდე არ გამოუვა, რადგან რუსეთიდან როდესაც დასავლური კაპიტალი გავიდა, ის მთლიანად ჩინურმა კაპიტალმა ჩაანაცვლა. ნებისმიერი რუსული ნაწარმი რომ ნახოთ თუნდაც ქართულ ბაზარზე, დარწმუნდებით, რომ მათი 80% ჩინური ტექნოლოგიით მზადდება.

**„დასავლეთისთვის უფრო მნიშვნელოვანი ხდება ინდური ბაზარი და ჩინურის ჩანაცვლებას აპირებენ ინდურით. თავისთავად, ინდური ეკონომიკა ძალიან სწრაფად ვითარდება და პერსპექტიულია, როგორც მოსახლეობის რაოდენობით, ასევე, თითქმის არ არის ენობრივი ბარიერი, რადგან ინდოეთში ინგლისური მეორე ენაა. არა მგონია, ტრამპის ხუშტურებმა დიდხანს გასტანოს. ვნახოთ, როგორ მოგვარდება უკრაინის პრობლემა, შემდეგ უფრო ნათელი გახდება ვითარება. არ ვარ დარწმუნებული, რომ ტრამპს უკრაინის პრობლემის სწრაფად მოგვარება გამოუვა. შესაძლოა, ცეცხლი შეწყდეს, მაგრამ ახალი ეტაპი დაიწყება მსოფლიო პოლიტიკაში, სადაც ევროპა იქნება მნიშვნელოვანი.**

**როგორც ჩანს, ისევ გერმანია აიღებს ბევრ რამეს თავის თავზე, იწყება ცივი ომის ახალი ეტაპი, დაპირისპირებაც იქნება ევროპასა და რუსეთს შორის, რადგან ტრამპის გადაწყვეტილებებმა რაღაცნაირად ევროპა გამოაღვიძა. სამხედრო ბიუჯეტი 800 მილიარდამდე უნდა გაზარდოს ევროპამ, ეს ნიშნავს, რომ ახალი შეჯიბრი იწყება შეიარაღებაში. რუსეთს მოუწევს ამ შეჯიბრში ჩართვა. რამდენად შეძლებს რუსეთი, თუნდაც ეკონომიკურად გაუმკლავდეს ამ შეჯიბრს, ეს ერთხელ უკვე ვნახეთ საბჭოთა კავშირის დროს“,** – აღნიშნა **ვახტანგ ძაბირაძემ.**



**ევროკომისიის პრეზიდენტი ურსულა ფონ დერ ლაიენი მსოფლიოს აუწყებს, რომ ევროკავშირი თავდაცვის დაფინანსებას 800 მილიარდი ევროთი ზრდის. რას მოუტანს ევროპელებს ამერიკის ალტერნატივის ძიება აღმოსავლეთის მიმართებით, ანუ ჩინეთ-ინდოეთისკენ გეზის აღება?!**

**მანანა ნოზაძე**

# მიანმარის დამანგრეველი მიწისძვრის მსხვერპლთა რაოდენობა კიდევ გაიზარდა

**მიანმარში მომხდარი მიწისძვრის მსხვერპლთა რაოდენობამ 1700-ს მიაღწია. შემთხვევის შედეგად, დაშავებულია 3400-ზე მეტი ადამიანი,300-მდე ადამიანი კი ამ დრომდე დაკარგულად მიიჩნევა.**

**ამჟამად, დაკარგულად მიიჩნევა 140-მდე ადამიანი. სტიქიის ეპიცენტრში – მიანმარის ქალაქ მანდალაიში, დანგრეულია 1500-ზე მეტი საცხოვრებელ სახლი. განადგურებულია ხიდები, გზები, რეზიდენციული შენობები და სამოქალაქო ინფრასტრუქტურა. 7.7 მაგნიტუდის სიმძლავრის ბიძგები იგრძნობოდა ტაილანდსა და ჩინეთში.**



**გუშინ მიანმარში კიდევ ერთი მიწისძვრა მოხდა, რომლის სიმძლავრემ 5.1 მაგნიტუდა შეადგინა. ადგილობრივების განცხადებით, ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ბიძგები 28 მარტის დიდი მიწისძვრის შემდეგ. მიანმარში აცხადებენ, რომ მსხვერპლის რიცხვი კიდევ გაიზრდება!**

ბრიტანული სამაუწყებლო კომპანიის **„ბიბისის“ (BBC)** ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულია სტატია სათაურით **„ჯეი დი ვენსის ავისმომასწავებელი ვოიაჟი გრენლანდიაში“** (ავტორი — ენდრიუ ჰარდინგი), რომელშიც გაანალიზებულია აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის ყოფნა არქტიკულ კუნძულზე. აშშ-ის დელეგაცია გრენლანდიაში დანიის მთავრობის ნებართვის გარეშე ჩავიდა.

გთავაზობთ პუბლიკაციის შემოკლებულ ვერსიას: BBC

# ავისმომასწავებელი ვოიაჟი გრენლანდიაში




**პარასკევს, გვიან საღამოს, გრენლანდიის ავტონომიის დედაქალაქი ნუუკი უჩვეულოდ ელვარე ჩრდილოეთის ციალმა გაანათა — თითქოსდა ცაში მომწვანო ნათების მქონე ფარდა იყო დაკიდებული.**

ჩრდილოეთის ციალი (ნათება) არქტიკაში, სადაც გრენლანდია მდებარეობს, ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ უჩვეულო ის იყო, რომ მისი მკვეთრი ნათება კუნძულზე მომხდარ ასევე მკვეთრ პოლიტიკურ მოვლენას დაემთხვა, რომელმაც მთელი სიმწვავით გამოავლინა ყინულებით შებოჭილი გრენლანდიის პრობლემები და იმედები.

ამ დღეს სიმდიდრეს დახარბებულმა უცხო სახელმწიფომ მსოფლიოს ყველაზე დიდ კუნძულზე დელეგაცია მისი მფლობელის ოფიციალური ნებართვის გარეშე გაგზავნა, თანაც ძალზე არასასიამოვნო განზრახვით.

აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი ჯეიმს დევიდ ვენსი, თავისი ხანმოკლე ვიზიტის დროს ამერიკის სამხედრო ბაზაზე, რომელიც გრენლანდიის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს, ალბათ, შეეცადა დონალდ ტრამპის სკანდალური განცხადება შეერბილებინა გრენლანდიის — დანიის კუთვნილი ავტონომიური ტერიტორიის — ანექსირების თაობაზე. **„ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ოდესმე სამხედრო ძალის გამოყენება დაგვჭირდება“,** — განაცხადა **ჯეი დი ვენსმა,** რომელიც ხაზგასმული სიმშვიდით ცდილობდა, დარწმუნებინა გრენლანდიელები და დანიელები.

მაგრამ ვიცე-პრეზიდენტის გზავნილის საერთო ხასიათი მკაცრი და შემაშინებელი დარჩა: მსოფლიო, კლიმატი და არქტიკის რეგიონი გრენლანდიისათვის ძალიან იცვლება; კუნძულის მოსახლეობა უნდა გამოფხიზლდეს და თვალი უნდა გაუსწოროს იმ მუქარა-საფრთხეებს, რომლებსაც ჩინეთის არქტიკული გეგმები ითვალისწინებს; უსაფრთხოების სფეროში არსებულმა ძველმა დასავლურმა პარტნიორობამ საკუთარი თავი ამოწურა; თავდაცვისა და საკუთარი სიმდიდრის — სასარგებლო წიაღისეულის დაცვის ერთადერთი მეთოდი ის არის, რომ გრენლანდიელებმა უარი უნდა თქვან თავიანთი ძუნწი და სუსტი დანიელი მბრძანებლისაგან (მეფისგან) და მფარველობისათვის მძლავრკუნთიან ამერიკას მიმართონ.

**„ჩვენ გონს უნდა მოვეგოთ 40-წლიანი ჩაშლილი კონსენსუსის შემდეგ, რომელმაც ვერ გაამართლა და რომელმაც მიგვაჩვია იმას, რომ ყურადღებას არ ვაქცევდით ზოგიერთი სახელმწიფოს ამბიციების გაფართოებას. ჩვენ სირაქლემასავით თავი ქვიშაში — აქაური გაგებით, თოვლში — არ უნდა ჩავყოთ და არ უნდა მივიღოთ ისეთი სახე, რომ ჩინელები გრენლანდიით არ არიან დაინტერესებულები“,** — თქვა **ჯეიმს ვენსმა** აშშ-ის სამხედრო ბაზის — პითუფიკის — სამხედრო მოსამსახურეებთან შეხვედრისას.

თუ მსოფლიოს რუკას ისეთი რაკურსით შევხედავთ, რომლის ცენტრში ჩრდილოეთი პოლუსი ჩანს და არა ეკვატორი, ადვილად დავინახავთ, თუ როგორ შეიძლება თითქმის დაუსახლებელი გრენლანდია იმ სტრატეგიული ბრძოლის ცენტრში მოიქცეს, რომელსაც აშშ, ჩინეთი და რუსეთი იწყებენ არქტიკის გასაკონტროლებლად, მისი ულევი სასარგებლო წიაღისეულისა და საზღვაო გზების გამოსაყენებლად.

მაგრამ ამერიკის მხრიდან ბოლო დროს გამოვლენილმა გულგრილმა დამოკიდებულებამ ნატოს მიმართ მისი პარტნიორები **„კალაპოტიდან ამოაგდო“.**

**„ეს მიუღებელი ზეწოლაა“,** — გაღიზიანებით გასცა პასუხი აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტს დანიის პრემიერ-მინისტრმა **მეტე ფრედერიქსენმა,** როცა გაიგონა, თუ როგორი არასასიამოვნო სიტყვებით მოიხსენიებდა დანიის კუთვნილ მიწაზე მდგარი აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი დანიის ხელისუფლებას.

## რა სურთ ინუიტებს

**მაგრამ პიტუფიკიდან 1500 კილომეტრით სამხრეთით მდებარე ნუუკში სრულიად სხვა, საწინააღმდეგო მოვლენა ხდებოდა — გრენლანდიელები საზეიმოდ ესალმებოდნენ თავიანთი კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბებას: „ჩვენ გავიმარჯვებთ“, — მღეროდნენ მომიტინგეები. მათი განწყობა ოპტიმისტური იყო.**

ნუუკში ჩატარებული საზეიმო ცერემონია იმის მინიშნება იყო, რომ ადგილობრივი აბორიგენი კუნძულელები — ინუიტები — უფრთხილდებიან თავიანთ ფასეულობებს და თვლიან, რომ ყველაფერი კონსენსუსით და თანამშრომლობით უნდა გადაწყდეს. უნდა იყოს დაცული მათი კულტურა და ტრადიციები უცხოტომელთა (ამერიკელთა) ზეწოლისაგან. მათ სურთ, რომ ადგილობრივ ისტორიულ მოსახლეობას პატივი სცეს ყველა უცხოელმა, ვინც არ უნდა იყვნენ ისინი — შორეული დანიელები თუ ახლოს მდებარე ამერიკელები.

**„ბევრი ხერხი და მეთოდი არსებობს სურვილის გამოსახატავად, მაგრამ როგორც დონალდ ტრამპი ლაპარაკობს, ასე არ უნდა იყოს. მისი ნათქვამი მუქარასა და ულტიმატუმს ჰგავს“,** — ამბობს 43 წლის **ლისაბეტ პოულსენი,** გრენლანდიელი მხატვარი, რომელიც მთავრობის ჩამოყალიბების ცერემონიას ესწრებოდა. მისი რეაქცია, როგორც ჩანს, გრენლანდიელთა უმრავლესობის აზრს ასახავს. ამას წინათ ჩატარებულმა საზოგადოებრივმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ აშშ-სადმი მიერთებას მხარს უჭერს მოსახლეობის მხოლოდ 6%.

## გზა დამოუკიდებლობისაკენ

**ახალი მთავრობის ხელმძღვანელობით და ადგილობრივი მოსახლეობის უპირატესი მხარდაჭერით გრენლანდია ფრთხილ მოძრაობას იწყებს სრული დამოუკიდებლობისაკენ. ეს პროცესი, როგორც ჩანს, მრავალწლიანი იქნება და ხანგრძლივ დიალოგს მოითხოვს როგორც კოპენჰაგენთან, ასევე ვაშინგტონთან.**

ბოლოს და ბოლოს, გრენლანდიელებსაც მშვენივრად ესმით, რომ მათი ეკონომიკა უფრო განვითარებული უნდა იყოს, რათა დამოუკიდებლად არსებობას წარმატების შანსი ჰქონდეს. მაგრამ მათ მოუწევთ კუნძულის განვითარება დააბალანსონ, რათა არ მოხდეს მტაცებლური სარგებლობა სასარგებლო წიაღისეულით, გარე ძალების მიერ. ასეთ რეალობას ჩვენ მივყავართ ფუნდამენტალურ საკითხამდე როგორც გრენლანდიაში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც, დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის პოზიციის გამო.

## რა სურს თეთრ სახლს?

**ჯეიმს ვენსმა** გრენლანდიური ვოიაჟის დროს კუნძულელების დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა ახსენა და განაცხადა, რომ ამერიკის რეალური განზრახვა გრენლანდიის უეცარი ანექსია კი არ არის, არამედ უფრო ნელი, მოსათმენი და გრძელვადიანი მოქმედება.

**„ჩვენი გზავნილი ძალიან მარტივია: დიახ, გრენლანდიელი ხალხი მიიღებს თვითგამორკვევის უფლებას. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ისინი აშშ-სთან პარტნიორობას აირჩევენ — იმიტომ, რომ ჩვენ დედამიწის ზურგზე ერთადერთი ქვეყანა ვართ, რომელიც პატივს სცემს თქვენს სუვერენიტეტს და თქვენს უსაფრთხოებას უზრუნველყოფს“,** — თქვა ამერიკის ვიცე-პრეზიდენტმა.

თუ ნამდვილად ასეთია აშშ-ის პოზიცია — მაგრამ დონალდ ტრამპი სრულიად განსხვავებულ აგრესიას ამჟღავნებს, ვიდრე ჯეიმს ვენსი — მაშინ გრენლანდიელები უნდა დაწყნარდნენ. კაცმა რომ თქვას, კუნძულელები ამერიკის მიმართ მტრობას არ ამჟღავნებენ, აქ არის ადგილობრივ ბიზნესმენთა დაინტერესება ამერიკული კომპანიების მიმართ.

**რაც შეეხება უსაფრთხოებას, დანიასთან 74 წლის წინ ხელმოწერილი შეთანხმების ძალით, ამერიკას უფლება აქვს ნებისმიერ შემთხვევაში გააფართოოს თავისი სამხედრო კონტინგენტის რაოდენობა გრენლანდიაზე — ახალი ბაზებით დაწყებული, ნავსადგურების მშენებლობით დასრულებული. ეს ნიშნავს, რომ ვაშინგტონის შიშები — სანამ კუნძული ჩემი არ არის, ჩინეთი მომასწრებს შესვლასო — ზედმეტია და თითიდან გამოწოვილი, ცივი ომის გადმონაშთის სახით.**

**ამიტომ გასაკვირია დონალდ ტრამპის მოუთმენლობა — ზუსტად ისევე, როგორსაც იგი უკრაინის ომის დასრულების საკითხში ამჟღავნებს. ბოლოს და ბოლოს, ნორმალურად თუ მოიქცევა, ამერიკის პრეზიდენტს რაც სურს, კუნძულიდან ყოველგვარი ზედმეტი აგრესიის გამოვლენის გარეშეც მიიღებს. გრენლანდიელები თვლიან, რომ ამერიკის ლიდერი მათ აგდებულად ექცევა.**

**ასეთი მოქმედება კონტრპროდუქტიულია. ამერიკის მხარე იძულებული გახდა, ჯეიმს ვენსის ცოლის — უშას — კულტურული ტური გაეუქმებინა, ადგილობრივი მოსახლეობის პროტესტის ფონზე.**

**ალბათ, კარგი იქნებოდა უფრო ნელი და ურთიერთპატივსაცემი და კულისური ნაბიჯების გადადგმა, რომლებიც უეჭველია უფრო მეტ პოზიტიურ შედეგს მოიტანდა. მაგრამ ასეთი ნაბიჯების გადადგმა ბევრი პოლიტიკოსის გემოვნებაში არ შედის.**



მოამზადა

**სიმონ კილაძემ**



## დონალდ ტრამპი:

# ჩვენ მივიღებთ გრენლანდიას...

**„ჩვენ მივიღებთ გრენლანდიას. დიახ, 100%-ით“,** — თქვა **ტრამპმა.**

როგორც ტრამპმა აღნიშნა, არის კარგი შესაძლებლობა, რომ ეს მოხდეს სამხედრო ძალის გარეშე, თუმცა, მისი თქმით, არაფერს გამორიცხავს. ეს განცხადება დონალდ ტრამპმა მას შემდეგ გააკეთა, რაც ვიცე-პრეზიდენტი, მეუღლესთან ერთად, ვიზიტით გრენლანდიაში იმყოფებოდა, სადაც ამერიკული ბაზა მოინახულა.

**შეკითხვაზე, — რა სიგნალს გაუგზავნის გრენლანდიის მიღება რუსეთს და დანარჩენ მსოფლიოს?** — დონალდ ტრამპმა თქვა: **„ამაზე არ ვფიქრობ. სინამდვილეში, ეს არ მადარდებს. გრენლანდია არის ძალიან განცალკევებული საკითხი, ძალიან განსხვავებული. ეს არის საერთაშორისო მშვიდობა. ეს არის საერთაშორისო უსაფრთხოება და სიძლიერე. თქვენ გაქვთ ხომალდები, რომლებიც დაცურავენ გრენლანდიის გასწვრივ რუსეთიდან, ჩინეთიდან და მრავალი სხვა ადგილიდან. ჩვენ არ დავუშვებთ, რომ მოხდეს ისეთი რამ, რაც დააზარალებს მსოფლიოს ან შეერთებულ შტატებს“,** — თქვა ტრამპმა NBC News-თან ინტერვიუში.

ნაძალადევში, ყოფილი თოფურიძის ქუჩაზე ე. წ. აბანო, რომელიც კომუნისტებმა ეკლესიის შენობაში განათავსეს, 1989 წლიდან გაუქმდა და ეკლესიის შენობა კვლავ საპატრიარქოს გადაეცა. სწორედ ამ ადგილზე მდებარეობს კოხტა ეკლესია თავისი სამრეკლოთი, კეთილმოწყობილი ეზოთი.

აბანო-სამრეცხაოს, რომლის კომპლექსში შედიოდა ქალთა და მამაკაცთა საპარიკმახეროები, კოსმეტოლოგიის, მანიკიურისა და პედიკიურის სამუშაო განყოფილებები, წყლის სამასაჟო ოთახები და საცურაო აუზი, გაუქმდა და მაშინდელმა ხელისუფლებამ ჰიგიენის სახლისთვის ტერიტორია გამოყო იმავე რაიონში რკინიგზისა და ჩოდრიშვილის ქუჩების მიმდებარედ. ურბანული დაგეგმარების სამსახურის მიერ გაიცა სამშენებლო პასპორტი №43 და 2075 კვადრატულ მეტრზე გამოიყო სამშენებლო მიწის ნაკვეთი, ხოლო აქ მცხოვრები 15 ოჯახისთვის გადაწყდა ბინებით დაკმაყოფილების საკითხი.

მას შემდეგ მრავალი მთავრობა გამოიცვალა, გავიდა თითქმის 35 წელი მედროვეებმა და კორუფციაში გახვეულმა პირებმა, რომლებმაც ამ წლების მანძილზე ხელი მოითბეს „ჰიგიენის სახლის“ ასაშენებლად გამოყოფილი ფინანსებით, საკუთარ ტანზე ჩოხასავით მოირგეს კანონი და არც მერიის, არც ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გამოტანილი დადგენილებებიც არ აღსრულდა. 35 წელია, „ჰიგიენის სახლის“ დირექტორი, ბატონი მამული ხუბუნაია იბრძვის სიმართლის აღსადგენად, წლებია გრძელდება სასამართლო პროცესები. შედეგი კი არ ჩანს. ამ თემაზე წლებია წერდნენ გაზეთები „ლიტერატურული საქართველო“ (2021 წ. 10 დეკემბერი), „საქართველოს რესპუბლიკა“ (2021 წ. №212), მაგრამ შედეგი არ ჩანს.

ბატონი მამული ხუბუნაია ჩვენი გაზეთის საშუალებით მიმართავს საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ ირაკლი კობახიძეს, იქნებ ერთხელ და სამუდამოდ განიხილონ ეს საკითხი, ბოლო მოეღოს 35-წლიან უსამართლობას.

ქვემოთ მოყვანილ წერილს გთავაზობთ უცვლელი სახით, სტილი დაცულია.

# ტანზე ჩოხასავით მორგებული კანონი,

## ანუ ოცდათხუთმეტწლიანი ბრძოლა სამართლის ძიებაში...



## საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბატონ ირაკლი კობახიძეს

**1988 წელს ნაძალადევის რაიონში გაუქმდა ჰიგიენის მომსახურების ობიექტი: აბანო-სამრეცხაო, ქიმწმენდა და მომსახურების სხვადასხვა სახეები, ქალთა და მამაკაცთა საპარიკმახეროები, კოსმეტოლოგის, პედიკიურის და მანიკიურის სამუშაო ადგილები, წყლის სამასაჟო ოთახები და ერთი საცურაო აუზი, სიგრძით 12 მეტრი და სიგანე 4 მეტრი.**

წარმოგიდგენთ გაზეთში გამოქვეყნებულ სტატიას **„ჰიგიენის სახლი – საუკეთესო საჩუქარი თბილისელებს“**. „ჰიგიენის სახლის“ გაუქმებით ყოფილი შენობა-ნაგებობა დაუბრუნდა ეკლესიის მრევლს. („ჰიგიენის სახლი“ განთავსებული იყო კომუნისტების დროს გაუქმებულ ეკლესიაში), ამით გაკეთდა მნიშვნელოვანი საქმე და მოსახლეობის სამართლიანი მოთხოვნაც აღსრულდა მაგრამ მოქალაქეების ნაწილი სისტემატურად გამოთქვამდა უკმაყოფილებას პრესის ფურცლებზე მომსახურების სახლის გაუქმებით. შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 31.01.89 #02.14.34 გადაწყვეტილებით ყოფილიყო თოფურიძის ქუჩიდან გაუქმებული აბანო-სამრეცხაოს სანაცვლოდ კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს რკინიგზის და ჩოდრიშვილის ქუჩების კუთხეში, დოსაფის რაიონული კომიტეტის და საცხოვრებელი სახლით დაკავებული მიწის ნაკვეთი გამოეყო.

ქალაქის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 31.01.89 წ. #02.14.34 გადაწყვეტილება სრულდებოდა განრიგის მიხედვით. აბანო-საპარიკმახერო გაერთიანება „ჰიგიენის“ ბრძანება 25.07.89 წ. თბილისის 2/147 ლენინის რაიონში მშენებარე აბანოს გამგის დანიშვნის შესახებ. ყველა შავი სამუშაო პროექტის გასაკეთებლად, საჭირო ნებართვების მისაღებად თანხმობა უშუალოდ ჩემი მონაწილეობით არის წარმოდგენილი. ამასთანავე რეკონსტრუქციის ზონაში ჩაწერილი ოჯახების პირველადი აღწერილობის სიის დამტკიცების შემდეგ 23.15.90 წ. #11.03.1350 გადაწყვეტილებით ლენინის რაიონის მიერ არის აღწერილი შესრულებული 15 ოჯახზე. ამ მომენტისთვის გამორიცხულია ვინმემ უარი განაცხადოს ბინის მიღებაზე. გაერთიანება „ჰიგიენის“ ბრძანება 31.12.92 2/44 მშენებარე #2 აბანოს გამგე მ. ხუბუნაია გადაყვანილი იქნა ვაჭრობის და მომსახურების სამმართველოს დაქვემდებარებაში 1993 წლის 4 იანვრიდან. (საფუძველი – ქ. თბილისის მერიის 1992 წლის 06.11. #136 ბრძანება. ნაძალადევის რაიონის ვაჭრობის და მომსახურების განყოფილების ბრძანება #60 01.04.1993 წ.).

გაუქმებული აბანოს შენობას ემსახურებოდა 70 თანამშრომელი ორ ცვლაზე. ქალაქის საბჭოს 25.04.90 წ. #508 განკარგულებით და ქალაქ თბილისის პრეფექტის ბრძანება 25.06.91 წ. #185 და 20.05.91 წ. #58 ბრძანებით რეკონსტრუქციის ზონიდან პირველადი აღწერით 15 ოჯახის გამოსათავისუფლებლად მიზნობრივად გამოიყო 14 ბინა, რომელიც არ მოხმარდა რეკონსტრუქციის ზონას. ასევე მშენებლობისთვის ერთი მილიონი რუსული რუბლი გამოეყო კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს (მაშინდელი ერთი რუსული რუბლი უდრიდა 0,76 ცენტს). ეს თანხა საკმარისი იყო მშენებლობის დასამთავრებლად და შესაბამისი დანადგარების შესაძენად. ეს იყო კომუნისტების მმართველობის დროს 1990-1991 და შემდგომი პერიოდი – 1992 წლის ოქტომბრიდან 1993 წლის აპრილამდე. 1994 წლის 1 იანვრის მომენტისთვის აითვისეს 102300 კუპონის სამუშაო. მილიონი რუსული რუბლის გამოყოფაში არ დამხმარებია ის თანამდებობის პირები, ვინც ამ თანხის მითვისებას ცდილობდნენ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წ. 18 ივლისის #570 დადგენილებით, მშენებარე აბანო-სამრეცხაოს საპრივატიზებო ნუსხაში დამტკიცება შედის იმ თანამდებობის პირების ინტერესში, ვისაც სურს ერთი მილიონი რუსული რუბლის გამოყენება არამიზნობრივად, მოქალაქეთა კავშირის მმართველობის პერიოდში სასამართლო არ არსებობს. არც ერთი მიზნობრივად გამოყოფილი ბინა დანიშნულებისამებრ არ გამოუყენებიათ მოქალაქეთა კავშირის მმართველ ძალას.

ყოველივე ეს მეტყველებდა ქვეყანაში არსებულ კორუფციაზე, ძალადობაზე, თანამდებობის პირადი ინტერესების სასარგებლოდ გამოყენებაზე. ყველაფერი ეს ხორციელდებოდა მოქალაქეთა კავშირის მმართველობის დროს თანამდებობაზე მყოფი ადამიანების მიერ.

1995 წ. 21 ნოემბერს ახალი სახელშეკრულებო ვალდებულება იდება ჩემსა და სახელმწიფოს შორის. მშენებლობისთვის გამოყოფილი ერთი მილიონი რუსული რუბლი რჩება კაპიტალური შეკეთების სამმართველოში. ამწე მექანიზმი გადაიტანეს მიწისძვრის შედეგად დაზარალებულ რაიონში. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი 13.04.95 წ. #6-65 შუამდგომლობის წერილით მიმართავს საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილეს თხოვნით, გაითვალისწინონ აღნიშნული გარემოებები და დაუშვან განკარგულება საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1994 წლის 26 აგვისტოს 278 ბრძანებით დადგენილი შეღავათებით გათვალისწინებით. ამის გათვალისწინების სახელმწიფოს ქონების მართვის მთავარ სამმართველოს უფროსის გადაწყვეტილება 25.10.876. 13.09.1995 ჩოდრიშვილის #1-ში მდებარე მშენებარე აბანო-სამრეცხაოს პრივატიზების შესახებ, რომელსაც მიეცა სახელშეკრულებო ვალდებულება. ამ სახელშეკრულება ვალდებულების შესრულების შემდეგ ამ მიწის ნაკვეთზე გაიცა საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა. ამასთანავე ნაძალადევის რაიონის საგადასახადო ინსპექციის მიერ ქონების გადაცემაზე გაიცა ქონების დეკლარაცია. მით უმეტეს ძირითადი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებას ითვალისწინებს საკუთრების მოწმობაში მითითებული ორი შენობის ფართი, რის შემდეგ რეესტრი არ ასრულებს თავის მოვალეობას.

საკუთრება მოპოვებული 2055 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე განსაკუთრებით ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება არის შესასრულებელი. ამის შემდეგ მიწის ნაკვეთზე სამი წელიწადი მიმდინარეობს მშენებლობა და შესრულებულია 102300 კუპონის არსებული კურსით აშშ დოლართან მიმართებაზე, ასეთ ობიექტზე დასამაგრებელი მიწის ფართობს კვ მეტრებში და მიწათსარგებლობის ფორმას არ აზუსტებს საჯარო რეესტრი.

მე ვითხოვდი მიწის ნაკვეთიდან დარჩენილი 7 ოჯახის გამოთავისუფლებას, რომლებსაც ბინა განაწილებული აქვთ ნაძალადევის რაიონის 06.09.1991 წ. გადაწყვეტილებით. ჩემს მოთხოვნას მოჰყვა ახალი საჩივრები სასამართლოში (საქმე #3/1866; საქმე #1-93; საქმე 3/586; საქმე 3/79-07; სისხლის სამართლის საქმე #001080043). ამ საჩივრების სასამართლოს მიღებული გადაწყვეტილებები არ გაუსაჩივრებიათ სააპელაციო სასამართლოში, არც ის გაუთვალისწინებიათ ამ საქმესთან დაკავშირებით ოთხი წელიწადი მიმდინარეობდა სასამართლო და სასამართლოების დამთავრების შემდეგ გატარდა საჯარო რეესტრში და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან მიწის (უძრავი ქონების) შესახებ თარიღი 19.04.2005 წ. უფლების დამადასტურებელი იურიდიული დოკუმენტი მითითებულია და ამასთანავე მითითებულია მიწის ნაკვეთი მამული ხუბუნაიას საკუთრება. მშენებარე ნაგებობა მამული ხუბუნაია საკუთრება სახელმწიფო რეესტრის ხელმოწერის, გაცემის თარიღი 11.05.2005 წ. ეს მეორდება, სახელმწიფო რეგისტრაციის ხელმოწერა 15.02.2007 წ.) სხვა პიროვნების მიერ არის. მაგრამ (ნაძალადევის გამგეობა, რომელსაც ევალება ქალაქის საბჭოს 31.01.89 წ. #2.14.34 გადაწყვეტილების კონტროლი, (ნაძალადევის გამგეობა საქმე 3/2721.09). იწყებს ახალ საჩივარს, მაგრამ ნაძალადევის გამგეობის საჩივარი 2010 წ. 09 მარტის სასამართლო სარჩელით არ დაკმაყოფილდა. ამით უკმაყოფილო ეკონომიკის სამინისტრო არ ითვალისწინებს მიწის ნაკვეთის გამოყოფის დანიშნულებას, არ ცვლის ძირითად ხელშეკრულებას და ისე ერთვება.

ახალი საჩივარი საქმე 3/3728-09 იწყებს, მაგრამ 2010 წ. 30 ნოემბრის სასამართლო გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. შემდეგ აპელანტი საქართველოს ეკონომიკური და მდგრადი განვითარების სამინისტრო საქმე 3ბ/282-11 3V.03.2011 წლის გადაწყვეტილება საჯარო რეესტრის ჩანაწერები 2005 წლის 19 აპრილს განხორციელებული ჩაწერილი მამული ხუბუნაიას სახელზე ჩოდრიშვილის ქ. #1-ში მდებარე 2057 კვმ მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის შესახებ გააუქმეს, ასევე მოთხოვნას დაევალოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს ადმინისტრაციული წარმოების განახლება და საკითხის არსებითი გამოკვლევის შედეგად, ახალი გადაწყვეტილების მიღება, რომლის შესაბამისად ქ. თბილისში ჩოდრიშვილის ქ. #1-ში რეგისტრირებული იქნება მ. ხუბუნაიას სახელზე მშენებარე შენობა-ნაგებობა, სახელმწიფოს სახელზე #1-2-3-4-5-6 შენობა ნაგებობაზე საკუთრებით უფლება.

აპელანტი, ანუ მოსარჩელე არ არის დაინტერესებული ადმინისტრაციული კოდექსის 601 მუხლის ბათილად იქნეს ცნო-

ბილი, არც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო იწყებს ადმინისტრაციული წარმოების განხილვას, და არც უთითებს თუ სად განთავსდება საქვაბე მეურნეობის 229 კვმ. მიწის ნაკვეთი, რომელიც შედის #1-2-3-4-5-6 შენობის ჩამონათვალში, ამიტომ გადავწყვიტე არ შევიდე დაპირისპირებაში და მარტო აბანო-სამრეცხაოს ადმინისტრაციული შენობის მოშენებას 849.13 კვმ. მიწის ნაკვეთი დავარეგისტრირო. ამიტომ ვაკეთებ ახალ აზომვით ნახაზს, ელექტრონულ ვერსიას, რის შემდეგ რეესტრის გადაწყვეტილება #882020709013 სარეგისტრაციო წარმოება შეჩერებული იქნა. უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემებს შორის დადგინდა კანონის განსაზღვრული ზედდება. ჩემთვის დღემდე გაუგებარია რატომ შეიცვალა საკადასტრო კოდი და ახალ საკადასტრო კოდში არ თავსდება ან არ ეტევა 1078 კვმ ორი შენობის მოშენების ფართი, ამასთანავე პირველად აღწერაში ვერ მოხვედრილი მობინადრეები არც ტექბიუროში, არც მიწის დეპარტამენტში სიაში ვერ მოხვედრილი მობინადრეები, როგორ გახდნენ თანამესაკუთრეები, ამიტომ სასამართლოს გადაწყვეტილება რეესტრში არ ასახულა.

ჩემთვის მოულოდნელი იყო მინისტრთა კაბინეტის #570 18 აგვისტოს დადგენილება, სადაც მშენებარე აბანო საპრივატიზებო ნუსხაში შეიტანეს. მშენებლობისთვის გამოყოფილი რუსული რუბლი დარჩა კაპიტალური მშენებლობის სამმართველოში. მის გამოყოფაში არ დამხმარებია ის პიროვნება, რომელმაც ჩამომაშორა ფინანსებს, მაგრამ ფინანსები მოხმარდა საკუთრებამოპოვებულ 2055 კვმ მიწაზე მდგარ შენობა-ნაგებობებს, საიდანაც ამ დროისათვის გაყვანილია 9 ოჯახი და დარჩენილი ოჯახი ნაძალადევის რაიონის გამგეობის 60.09.1991 წ. განკარგულება #291 და 15.04.1992 წ. გადაწყვეტილება #371. დარჩენილი ოჯახებს განაწილებულ ადგილზე კი არ ასახლებენ, არამედ ჩოდრიშვილის ქ. #1-ში რეკონსტრუქციის ზონაში მდებარე უსახურ ამორტიზებულ ბარაკული მდგომარეობის ნაგებობებს სახურავს უცვლიან, იყო შიფერი გახდა თუნუქი და 7 ოჯახთან ერთად თანამესაკუთრედ დაარეგისტრირეს და შეუქმნეს უკეთესი პირობები. მე მესაკუთრეს, მავალებენ პრივატიზაციის პირობების შესრულებას და რეკონსტრუქციის 2055 კვმ მიწაზე ჩაწერილი 19 სული მობინადრეების თანხმობას ობიექტის მიზნობრივად აშენებაზე. რომელსაც მე შეგნებულად არ ვასრულებ, რადგან მე ძირითადი ხელშეკრულებით ქონების სააგენტოს მიერ მოცემული დავალება არ შემისრულებია არც არავის მოუხსნია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს საქმე #3ბ/446-12 12.06.2022 წ. განჩინება მოსამართლე მანანა ჩოხელის თავმჯდომარეობით არის მიკერძოებული განჩინება, რადგან მანამდე მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილება არც ერთი არ არის მხედველობაში გათვალისწინებული. ამიტომ თბილისის სარეგისტრაციო სამსახური ჩოდრიშვილის ქ. #1-ში მდებარე მშენებარე შენობა-ნაგებობაზე მამული ხუბუნაიას საკუთრების უფლების, ხოლო #1-2-3-4-5-6 შენობა-ნაგებობაზე სახელმწიფოს საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ, ეს განჩინება სამართლებრივად ვერ შესრულდება, რადგან #1-2-3-4-5-6 შენობა-ნაგებობებში შედის სახელმწიფოს მიერ გაყიდული მიწის ნაკვეთზე მდებარეობს საქვაბე მეურნეობის გამოყოფილი 229 კვმ მიწა.

სახელმწიფო ქონების განკარგვის მიზნით მდგრადი განვითარების ეკონომიკის მინისტრის შემსწავლელი კომისიის სხდომის ოქმი #44 13.04.2017 წ. შესაძლებლად იქნა მიჩნეული ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულების გაუქმება. საქართველოს მთავრობამ არ გააუქმა ეკონომიკის მინისტრის მიერ მომზადებული განკარგულების პროექტი. ეს გადაწყვეტილება, მე, მამული ხუბუნაიას მეცნობა სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს #4/57929 17.10.2018 წ. წერილით.

**გთხოვთ, თქვენს გადაწყვეტილებას, ამ მიწის ნაკვეთზე, მიზნობრიობა გაიმარჯვებს თუ არამიზნობრიობა, სამართლიანობა გაიმარჯვებს თუ კორუფცია? ამასთანავე საქართველოს კონსტიტუციის დაცვა თუ გავრცელდება ჩემს მიმართ, რადგან საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ არ იცვლება მიწის ნაკვეთის არამიზნობრივად გამოყენების საკითხი.**

განმცხადებელი

**მამული ხუბუნაია**

19 მარტი, 2025 წ.

პ/ნ 01025013322 ტ. 599-20.53.64.

# მოღალატეების ბოლო გაფრთხილება,

## ანუ გმირების სახელს ამოფარებული სამშობლოს გამყიდველები



### ლევან მაჭავარიანი: ადამიანებისგან, ვინც მოხალისეების უკრაინაში გაგზავნას, შეიარაღების გადაცემას, შესაბამისად, რუსეთთან ესკალაციას ითხოვდით, ანწუხელიძისა და სხვა გმირებს ამოფარება სამარცხვინოა

იმ ადამიანებისგან, რომლებმაც ლაზარე გააგმირეთ, ვინც მებრძოლი მოხალისეების უკრაინაში გაგზავნასა და უკრაინისთვის ჩვენი შეიარაღების გადაცემას, შესაბამისად კი, რუსეთთან პირდაპირ ესკალაციას მოითხოვდით, დღეს ანწუხელიძისა და ჩვენი სხვა გმირების სახელებს ამოფარება ამორალური და სამარცხვინოა!

ყველას შეგახსენებთ, რომ რეჟიმმა სწორედ ჩვენს გმირებს დააბრალა ომის დაწყებაც და ომის დანაშაულების ჩადენაც. რატომღაც არ მახსენდება ლაზარეს გამგმირებლების პროტესტი ამ ღალატთან დაკავშირებით.

ჩვენი უზარმაზარი ძალისხმევის შედეგად სტრასბურგშიც და ჰააგაშიც მოვიგეთ სასამართლო პროცესები და ყველაფერზე პასუხისმგებლობა რუსეთსა და სეპარატისტებს დაეკისრათ. ამ ყველაფერს ახლა დროებითი საგამოძიებო კომისია იძიებს და, შესაბამისად, შეშინებული რეჟიმი და მისი მხარდამჭერები სხვადასხვა ბინძური სპეკულაციით ცდილობენ ამ პროცესის თითქოსდა გადაფარვას. პირველივე დღეებში უკვე გამოიკვეთა, რომ სამხედრო გადაწყვეტილებებს პოლიტიკური თანამდებობის პირები იღებდნენ. უკვე გამომჟღავნდა ის, რომ რეჟიმმა მშვიდობიანი მოქალაქეების ევაკუაციისთვის ერთი ნაბიჯიც არ გადადგა და გაწირა კოდორისა და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობა სასიკვდილოდ.

კიდევ ძალიან ბევრი რამ გამომჟღავნდება და რეჟიმი პასუხისმგებლობას ვერ გაექცევა. მოვიდა დრო, რომ ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას!



### მამუკა მდინარაძე: კოლექტიურ ნაცმოძრაობას ძალიან აწუხებს კომისიის გამოძიება აგვისტოს ომზე. ის ადამიანები, რომლებიც ანწუხელიძის სახელს ეფარებიან, არიან ანწუხელიძისა და სხვა გმირებისთვის ომის დანაშაულის დაბრალების მხარდამჭერები

ძალიან მწარე სიმართლე!

ორი დღეა სრული ისტერიაა კოლექტიურ ნაცმოძრაობაში.

გასაგებ მიზეზთან ერთად, მათ ძალიან აწუხებთ კომისიის გამოძიება აგვისტოს ომის თემაზე, სადაც:

1. დადგინდა, რომ ცეცხლის გახსნის ბრძანება მიხეილ სააკაშვილმა გასცა 2008 წლის 7 აგვისტოს 23 საათსა და 45 წუთზე. ამას თავად დავალების მიმღები გენერალი გოგავაც ადასტურებს;

2. ნაციონალურმა მოძრაობამ ინფორმაციის არსებობის მიუხედავად, არ გააფრთხილა კოდორის და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობა, რითაც სიკვდილისთვის გაწირა საკუთარი ქვეყნის ათასობით მოქალაქე;

3. ომიდან ორი თვის თავზე მხარი დაუჭირა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციას, რომლითაც:

აღიარეს ომის დაწყება!

ქართველ სამხედროებს დააბრალეს ომის დანაშაული!

შესაბამისად, ის ადამიანები, რომლებიც დღეს ანწუხელიძის სახელს ეფარებიან, არიან ანწუხელიძისა და სხვა გმირი სამხედროებისთვის ომის დანაშაულის დაბრალების მხარდამჭერები, რუსების სასარგებლოდ!

სწორედ ამის გადაფარვას ცდილობენ ბოლო ორი დღის განმავლობაში ატეხილი ისტერიით!

P.S. ბოდიშს ვუხდი საზოგადოებას, ვისაც მოუწია ჩემი და იმ ადამიანის მიმოწერის წაკითხვა, ვინც დაგეგმილი და ორგანიზებული კამპანიის ფარგლებში, ათობით ადამიანიდან ერთ-ერთმა, უსაზიზღრესი სიტყვებით, პირადი მიმოწერის დროს, დაიწყო შეურაცხყოფა და როგორც კი თქვა, რომ გოგო იყო (რისი წარმოდგენაც მის მიერ გამოყენებული სიტყვების გამო აქამდე შეუძლებელი მეგონა:), ბუნებრივია, აღარ გავაგრძელე იმ ფორმით პასუხის გაცემა.

საკმაოდ ვრცელი მიმოწერიდან მხოლოდ მცირე მონაკვეთი გაასაჯაროვა და მოიტყუა, რომ თითქოს თავად არ იყო შეურაცხყოფის ინიციატორი. ზოგადად, ასეთი მდარე მანიპულაციებით საზრდოობს ნაცური პიარი.

კარგი იქნება, ასეთმა ხალხმა გაათვითცნობიეროს, როგორი ფორმით, რაში და რისთვის იყენებენ ანწუხელიძეზე ომის დანაშაულის დამბრალებელი ანტიეროვნული ძალები!

# ეთნიკური წმენდა ღაზას სექტორში,

## ანუ კავკასიელ ექსპერტთა ხედვა ახლო აღმოსავლეთის მოვლენებზე

**საქართველოში ინტერესი ახლო აღმოსავლეთის რეგიონის მიმართ საექსპერტო დონეზე იზრდება. ამა წლის 28 მარტს თბილისში ჩატარდა მრგვალი მაგიდა „ახალი მსოფლიო წესრიგი და პალესტინის საკითხი“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 25-მდე ქართველმა პოლიტოლოგმა და ჟურნალისტმა, ასევე უცხოელმა სტუმრებმა.**

ყურადღება გამახვილდა აშშ-ის პოლიტიკაზე ახლო აღმოსავლეთის რეგიონში, გაანალიზდა ის მიზეზები, რითაც არის განპირობებული ვაშინგტონის ცალმხრივი მხარდაჭერა ისრაელისადმი და პალესტინის არაბული მოსახლეობის ინტერესების უგულებელყოფა. კონფერენციაზე არაერთხელ ითქვა, რომ ღაზას სექტორში არსებული ჰუმანიტარული კატასტროფა მთელი მსოფლიოს საზრუნავია და არც ჩვენ გვაქვს მორალური უფლება, განზე გავდგეთ. ნაჩვენები იქნა დოკუმენტური კადრები და მტკიცებულებები, თუ რაოდენ სერიოზულად ირღვევა მშვიდობიანი მოსახლეობის უფლებები. კონფერენციაზე მოხაზულ იქნა საფრთხეების სპექტრი, რომელიც პალესტინაში, ასევე სირიაში არსებული უმძიმესი ჰუმანიტარული, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარეობს არა მხოლოდ ახლო აღმოსავლეთის რეგიონისათვის, არამედ ამ რეგიონის მოსაზღვრე საქართველოსთვისაც.

ძირითადი მომხსენებლებიდან **გიორგი მდივანმა** ისაუბრა პალესტინელ არაბთა წინააღმდეგობის სოციალურ საფუძვლებზე და ისტორიულ ეტაპებზე, გააანალიზა ღაზაში განვითარებული კატასტროფული მოვლენები და ამ მოვლენებზე აშშ-ის ბაიდენის ადმინისტრაციის გავლენა.

**გულბაათ რცხილაძემ** ისაუბრა აშშ-ის ახლო აღმოსავლეთის სტრატეგიაზე სექტანტური აზროვნების გავლენის შესახებ. ამერიკული პროტესტანტური სექტები, ე. წ. „ევანგელიკალიზმის“ ნიშნით გაერთიანებულნი, თანამედროვე ისრაელის საკითხებს განიხილავენ ბიბლიურ წინასწარმეტყველებების, მათ შორის, აპოკალიფსის წინასწარმეტყველების, კონტექსტში. არა მხოლოდ ისრაელის ლობის (AIPAC და მისთ.) მეცადინეობით, არამედ სწორედ გავლენიანი ამერიკელი „ევანგელიკალების“ რელიგიური წარმოდგენებით არის განპირობებული აშშ-ის მხრიდან ისრაელის ცალმხრივი მხარდაჭერა – აღნიშნა მომხსენებელმა. ეს არ არის ასახული ოფიციალურ ამერიკულ დოკუმენტაციაში, მაგრამ გამომდინარეობს უამრავი ფაქტიდან და ამას თავად ამერიკელი ანალიტიკოსები აღწერენ. ექსპერტის აზრით, ტრამპის ე. წ. სამშვიდობო პოლიტიკა მოჩვენებითია და, კერძოდ, ღაზას სექტორში, ეთნიკურ წმენდას ისახავს მიზნად.

**ვასილ პაპავამ** პალესტინის შესაძლო მომავალზე ისაუბრა ახლო აღმოსავლეთის რეგიონში, მათ შორის, სირიაში, მიმდინარე პროცესების ანალიზიდან გამომდინარე. სპეციალისტმა დამაჯერებლად დაახასიათა რეგიონის სხვადასხვა ქვეყნების მდგომარეობის ურთიერთკავშირი და ერთმანეთზე ზეგავლენა.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ცნობილმა სამხედრო და პოლიტიკურმა ექსპერტებმა: **გურამ ნიკოლაიშვილმა, ოთარ ნადირიანმა, გიორგი გვიმრაძემ**, ჰოლდინგ „ჯორჯიან ტაიმსის“ დამაარსებელმა **მალხაზ გულაშვილმა**, გამოცემა „თვალსაზრისის“ რედაქტორმა **ზაზა დავითაიამ**, პროფესორმა **გვანცა კოპლატაძემ, შოთა აფხაიძემ, ლევან მამალაძემ** და სხვებმა, აგრეთვე უცხოელმა სტუმრებმა – სომეხმა პოლიტოლოგმა **ანდრანიკ ოვანესიანმა**, აზერბაიჯანელმა პოლიტოლოგმა **დაშგინ გიულმამედოვმა** და სხვებმა.

აღინიშნა, რომ ქართველი საზოგადოებრიობა უფრო უკეთ უნდა იყოს ინფორმირებული ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენებზე, ამ მოვლენების პოლიტიკურ და ჰუმანიტარულ ასპექტებზე.

**გიორგი აბულაძე**





## ალეკო ასლანიშვილი

# მეგრელთა საქმე

## აბსურდი, ანუ წინათქმა

**„საზოგადოების ყოფიერებაში ცვლილება ახალ იდეებს წარმოშობს, რაც, თავის მხრივ, საზოგადოების კლასებს შორის ბრძოლის მიზეზი ხდება“**, – გვასწავლის მარქსიზმი.

ამ საეჭვო და მავნე თეორიამ ტერორი მსოფლიო სოციალისტური სისტემის „საფირმო ნიშნად“ აქცია.

დაბეჯითებით ვერავინ იტყვის, შეუძლებელია ზუსტად განისაზღვროს, რამდენი მილიონი ადამიანი მოსპეს, რამდენი მილიონი ჩაალპეს საკონცენტრაციო ბანაკებში XX საუკუნის უდიდეს ტოტალიტარულ სახელმწიფოში – საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში.

განუწყვეტლივ ბრუნავდა დიდი რეპრესიების ბორბალი და ქვეყნის მოქალაქეთა ნაწილს „გასავალში“ ჩამოწერდა, ნაწილისაგან კი „საბჭოთა ადამიანებს“ სჭედდა. პარტიის თეორეტიკოსისა და იდეოლოგის ნიკოლოზ ბუხარინის გასაოცარი „აღმოჩენის“ შესაბამისად: „პროლეტარული ძალდატანება თავისი ყველა ფორმით, დახვრეტით დაწყებული და შრომითი ბეგარით დამთავრებული, რა პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, კაპიტალისტური ეპოქის ადამიანის მასალიდან კომუნისტური კაცობრიობის გამოჭედვის მეთოდს წარმოადგენს“.

1930-იან წლებში ეს „თეორია“ ისეთ საშინელ პრაქტიკად იქცა, მის გახსენებაზე სისხლი ეყინებოდათ მომსწრეებს.

საქართველოში 1921-1938 წლებში პოლიტიკური ბრალდებით დაიხვრიტა 13470 კაცი. აქედან მხოლოდ 1937-1938 წლებში – 11 264 კაცი. მაგრამ არც სხვა დროს დამდგარა ამოსუნთქვის პერიოდი, თვით დიდ სამამულო ომში გამარჯვების შემდეგ.

მართალია, ისე მასობრივად აღარ ხვრეტდნენ, მაგრამ ციხეები და ბანაკები სავსე იყო.

საქართველოდან მოწანწკარე ნაკადული უწყვეტად უერთდებოდა გულაგის დიდ მდინარეს, 1937-1938 წლებში საქართველოში თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს 11066 პოლიტპატიმარს, აქედან 8939 კაცს – 10 წლით.

მოსკოველი ისტორიკოსი ვიქტორ ზემსკოვი ჟურნალ „სოციოლოგიჩესკიე ისსლედოვანიას“ 1991 წლის 6-7 ნომრებში დაბეჭდილ გამოკვლევაში „გულაგი“ წერს, 1939 წლის 1 იანვრისთვის გულაგის საკონცენტრაციო ბანაკების პატიმართა საერთო შემადგენლობის 0, 89 პროცენტი (11 783 კაცი) ქართველი იყოო.

ეს რიცხვი 1947 წლისათვის 0, 59 პროცენტამდე (4609 კაცი) შემცირებულა. მაგრამ ვინმემ კუდი რომ არ გამოაბას ბანაკებში სტალინის და ბერიას თანამემამულეთა ასეთ კლებას, განვმარტავ, რომ მაშინ ასევე თითქმის განახევრდა ებრაელების, თათრების, ყაზახების, უზბეკების, სომხების რაოდენობა. სამაგიეროდ გაორმაგდა უკრაინელების, ბელარუსების, ლიტველების, ლატვიელების, ესტონელების, პოლონელების რაოდენობა. ეს კლება-მატება დიდი სამამულო ომის გამოძახილია: იმატა პატიმართა რაოდენობამ ყოფილი ოკუპირებული ტერიტორიებიდან.

მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა 1951 წელს. ომისშემდგომი რეპრესიების შედეგად გულაგის პატიმართა საერთო რაოდენობაში ქართველთა ხვედრითი წილი 0, 93 პროცენტამდე გაიზარდა. ეს 23 583 კაცს შეადგენდა. აქედან საკონცენტრაციო ბანაკებში იჯდა 6968 კაცი, კოლონიებში – 16615.

ასეთი მკვეთრი ზრდა საქართველოდან „მტრული ელემენტების“ გასახლებისა და შემდგომი რეპრესიის შედეგია.

მასში „მეგრელთა საქმის“ მსხვერპლნი მხოლოდ „ირიბად“ მოხვდნენ. „მეორე-მესამეხარისხოვანი“ „მტრულ ელემენტებს“ გააყოლეს, „მთავარ დამნაშავეთა“ გასამართლება კი უბრალოდ ვერ მოესწრო, ვერც 1951 წელს, ვერც 1952 და ვერც 1953 წელს.

აი, მთავარ სათქმელს მივადექით.

„მეგრელთა საქმე“ ათწლეულების მანძილზე ტაბუდადებული იყო. სუკ-ის არქივში გამოძიების მასალებთან არავინ მიგიშვებდა. ხალხში კი ლეგენდასავით დადიოდა ამბავი კუთხურობის ნიშნით მრავალი ადამიანის რეპრესიების შესახებ, რომლებიც შემთხვევით, სტალინის სიკვდილის გამო, გადაურჩნენ კედელთან მიყენებას.

პირველად „მეგრელთა საქმეზე“ გაზეთ „სახალხო განათლებაში“ (1989 წ. 12 ივნისი) წერილი „უზნეობის ზეიმი“ გამოაქვეყნა გერმანე ფაცაციამ.

თავისი მოგონებები 1997 წელს წიგნად გამოსცა საქ. კპ (ბ) ჩხოროწყუს რაიკომის ყოფილმა პირველმა მდივანმა მამანტი პაჭკორიამ.

1999 წელს გაზეთ „შანსში“ (N16, 17, 18) დაიბეჭდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი პირველი მდივნის ალიოშა მირცხულავას ინტერვიუ „ტაბუდადებული სიმართლე „მეგრელთა საქმის“ შესახებ“. 2000 წელს დაისტამბა ვალიკო შონიას წიგნი „დანაშაული ერის წინაშე, ანუ როგორ შეითითხნა „მეგრელთა საქმე“, 2001 წელს – საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი პირველი მდივნის აკაკი მგელაძის მოგონებები „სტალინი, როგორიც ის მახსოვს“ (რუსულ ენაზე).

2002 წელს, ჯერ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაიბეჭდა, შემდეგ კი ცალკე წიგნად გამოიცა იურისტ ჯემალ შელიას „სამხილი მეგრელთა ნაციონალისტური ჯგუფისა და საქართველოდან მტრული ელემენტების გასახლების შესახებ (ანუ ლავრენტი ბერიას 113 იდუმალი დღე)“, ჟურნალ „სარკის“ 2002 წლის N43-ში-სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს სამეცნიერო ტექნიკური ცენტრის უფროსის მოადგილის გელა სულაძის ინტერვიუ „მეგრელ ნაციონალისტთა საქმე – სისხლიანი მორევი ლავრენტი ბერიას გარშემო“.

2003 წლის იანვარში „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაიბეჭდა ჩემი ვრცელი ნარკვევი ამ თემაზე, რომლის ახალ, გადამუშავებულ ვარიანტსაც ამჯერად წარმოვუდგენ მკითხველს.

* * *

**მე მქონდა საშუალება პირველი გავცნობოდი საქართველოს უშიშროების სამინისტროს არქივში დაცულ „მეგრელთა საქმეს“ (აღწ. 29443).**

მას შემდეგ მარცვალ-მარცვალ ვაგროვებდი მასალებს იმ კვალიფიციური რჩევის შესაბამისად, მაშინ რომ მომცა ამ საგამოძიებო პროცესის ირგვლივ იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ, შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრმა ვახტანგ გვარამიამ.

აბსურდი – ერთი სიტყვით და ყველაზე გამომსახველად ასე შეიძლება დასათაურდეს ის უზარმაზარი „საქმე“ (26 ტომი), რომელიც მოსკოვის ჩაწოდებით 1951-1953 წლებში შეიქმნა საქართველოს სსრ უშიშროების სამინისტროს კაბინეტებში და პირობითად „მტრულ მეგრელ ნაციონალისტთა ჯგუფის საქმე“ ერქვა.

90-იანი წლების დასაწყისში, როცა უშიშროების სამინისტროს არქივში შეღწევა გაიოლდა, საკმაოდ დიდხანს ვიმუშავე იქ. გადათვალიერებული მაქვს ტოტალური საბჭოთა რეპრესიების ამსახველი მრავალი შეკვრა და საქაღალდე. სწორედ იმ პერიოდის ყურით მოთრეულ „საქმეთა“ შორის შემხვედრია ასეთი „ტრადიციული“ – დაუსაბუთებელი, ყოველგვარ გონივრულობას მოკლებული ბრალდებები. და ეს უდიდეს ომში გამარჯვების შემდეგ, 50-იანი წლების დასაწყისში!

1951 წლის 9 ნოემბერს იშვა სკპ(ბ) ცკ-ის დადგენილება მოულოდნელი და მრისხანე სახელწოდებით „საქართველოში მექრთამეობისა და ამხ. ბარამიას ანტიპარტიული ჯგუფის შესახებ“.

ამ ფაქტობრივი საბრალდებო დასკვნიდან, რომელიც გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა, ავად გაეშიშვლებინა ეშვები მომავალ სამაგალითო, ხალხმრავალ სასამართლო პროცესს 1930-იანი წლების სცენარით, როგორც გაფრთხილებას, რომ საბჭოთა ხელისუფლებას, კომუნისტურ რეჟიმს, მის სადამსჯელო მანქანას, არნახული მსოფლიო ომის შემდეგაც „არც არაფერი უსწავლია და არც არაფერი დავიწყებია“ და რომ „ასე იყო და ასე იქნება“, სანამ ეს რეჟიმი იარსებებს, რადგან იგი ოდენ ხალხის დაშინებაზე, დათრგუნვაზე, დასჯაზეა დაფუძნებული.

რეჟიმი ვალდებული იყო დროდადრო დაეგორებინა N რაოდენობის თავები, რათა ხალხისთვის შეეხსენებინა, რომ მას არ სძინავს, ფხიზლობს და დანაც ალესილი აქვს. ასე მოევლინა ქვეყანას „ლენინგრადის საქმე“, „ექიმთა საქმე“, „მეგრელთა საქმე“.



## ბელადის ხელდასხმით

### სკპ(ბ) ცკ-ის 1951 წ. 9 ნოემბრის დადგენილება „საქართველოში მექრთამეობისა და ამხ. ბარამიას ანტიპარტიული ჯგუფის შესახებ“

*1. უკანასკნელ ხანს სკპ(ბ) ცკ-ში შემოვიდა ცნობები იმის შესახებ, რომ საქართველოში ძალიან არის გავრცელებული მექრთამეობა, რომ იქ მექრთამეობასთან ბრძოლა ერთობ არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.*

*საქმის ახლოს გაცნობამ გვიჩვენა, რომ მექრთამეობა საქართველოში მართლაც გავრცელებულია და საქ. კპ(ბ) ცკ-ის მიერ მიღებული ზოგიერთი ღონისძიების მიუხედავად, მექრთამეობა არ კლებულობს. ამასთან გამოირკვა, რომ მექრთამეობასთან საქართველოს ცკ-ის ბრძოლა სათანადო ეფექტს იმიტომ არ იძლევა, რომ საქართველოს კომპარტიის ცკ-ის შიგნით, ისევე როგორც ცკ-ის აპარატის და მთავრობის შიგნით, არის ადამიანთა ჯგუფი, რომელიც მფარველობს მექრთამეებს და ცდილობს ყოველგვარი საშუალებით დაიხსნას ისინი.*




სპეციალური დანიშნულების სოლოვეცკის ბანაკი სოლომონის კუნძულებზე



### საქ. კპ(ბ) ცკ-ის მეორე მდივანი
## მიხა ბარამია



### საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი
## ავქსენტი რაფავა



### საქართველოს სსრ პროკურორი
## ვლადიმერ შონია



### საქ. კპ(ბ) ცკ-ის განყოფილების გამგე
## კონსტ. ჭიჭინაძე

ფაქტები მეტყველებს, რომ ამ ჯგუფის სათავეში დგას საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მეორე მდივანი ამხ. ბარამია. ეს ჯგუფი მეგრელი ნაციონალისტებისაგან შედგება. მის შემადგენლობაში, ამხ. ბარამიას გარდა, შედიან იუსტიციის მინისტრი ამხ. რაფავა, საქართველოს პროკურორი ამხ. შონია, საქართველოს კომპარტიის ცკ-ის ადმინისტრაციული განყოფილების გამგე ამხ. კუჭავა (1951 წლის 6 დეკემბერს პოლიტბიურომ დაადგინა, შეიცვალოს სკპ(ბ) ცკ-ის 1951 წლის დადგენილება ამხ. კუჭავას შესახებ დასკვნების ნაწილშიო – ა.ა.), პარტიული კადრების განყოფილების გამგე ამხ. ჭიჭინაძე და სხვა მრავალი. ჯგუფი თავის მიზნად ისახავს, უპირველეს ყოვლისა, მეგრელთა რიცხვიდან კანონის დამრღვევთა დახმარებას, მფარველობს დამნაშავეებს მეგრელთაგან, იგი მათ ასწავლის კანონების გვერდის ავლას და ყველა ზომას მიმართავს, ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელთა მოტყუებასაც კი, იმისათვის, რომ იხსნას „თავისი ხალხი“.

რამდენიმე ხნის წინათ სოხუმელი პროკურორი ვინმე გვასალია (მეგრელი) მექრთამეობაში ამხილეს. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, ამხ. ბარამიას წინააღმდეგობის მიუხედავად, დამტკიცებულად ცნო გვასალიას ბრალეულობა და მას 10 წლით პატიმრობა მიუსაჯა. სასამართლო გადაწყვეტილებით ამხ. ბარამიას და სხვა მეგრელი ნაციონალისტების უკმაყოფილების გამო, საქმის შესამოწმებლად გამოიყო საქ. კპ(ბ) ცკ-ის კომისია. კომისიამ დაადასტურა საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების სისწორე. ამის მიუხედავად, ამხ. ბარამიამ საქართველოში გაიძვერად ცნობილ ადვოკატ ურატაძის და თავისი მეგობრის, სსრკ პროკურატურის აპარატში მომუშავე ბარკალაიას მეშვეობით ორგანიზება გაუკეთა საქმის გადახედვას სსრკ უზენაეს სასამართლოში. ამხ. ბარამიამ საქმის გადახედვას და განაჩენის შეცვლას მიაღწია ბარკალაიას მხრიდან გენერალური პროკურორის მოადგილის ამხ. მოკიჩევის მოტყუების გზით. რა თქმა უნდა, შემდგომში სიცრუე გამოაშკრავდა, ბარკალაია მოტყუებაში ამხილეს და დააპატიმრეს, გენერალურმა პროკურორმა აუცილებლად ცნო ჭეშმარიტების აღდგენა და ამ საქმის გადახედვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს განაჩენის სასარგებლოდ.

გვასალიას საქმე ერთადერთი როდია, **ამხ. ბარამიას მუშაობაში ანტისახელმწიფოებრივ ტენდენციებს რომ წარმოგვიჩენს. რამდენიმე ხნის წინათ მექრთამეობისთვის სოხუმის ხელისუფლებამ დააპატიმრა გაზეთის რედაქტორი გვახარია (მეგრელი). ამხ. ბარამია, როგორც მეგრელ მექრთამეთა მფარველი, რა თქმა უნდა, ჩაერია ამ საქმეში მექრთამის გამართლების მიზნით. ამხ. ბარამიას მეცადინეობით საქმე დიდხანს გაგრძელდა. მართალია, ამხ. ბარამიამ ვერ მიაღწია გვახარიას გამართლებას, მაგრამ ის მაინც შეძლო, რომ იგი ციხეში ჩასმას გადაარჩინა. ამას კი მან საქართველოს კომპარტიის ცკ-ის უხერხემლობის წყალობით მიაღწია, რომელსაც სიმტკიცე არ ეყო ამხ. ბარამიას, როგორც ანტიპარტიულისა და ანტისახელმწიფოებრივი პირის, გამოაშკარავებისთვის.**

შემდეგ. ორი წლის წინათ მექრთამეობისათვის დააპატიმრეს საქართველოს პროკურატურის სისხლის სამართლისა და სასამართლოების განყოფილების პროკურორი ზაქარაია (მეგრელი) და ადვოკატი ალშიბაია (მეგრელი). ამხ. ბარამია, როგორც მეგრელთა "შეფი" და მეგრელ მექრთამეთა მფარველი, ჩაერია საქმეში და მეგრული ნაციონალისტური ჯგუფის წევრის, საქართველოს პროკურორის ამხ. შონიას მეშვეობით ამ მექრთამეების განთავისუფლების განკარგულება გასცა. მაგრამ მექრთამეობის ფაქტის აშკარა არსებობის გამო ეს ბატონები გაასამართლეს.

სურვილის შემთხვევაში, როგორც ცნობილია, უამრავი ასეთი „საქმე“ შეიძლება წამოვწიოთ.

2. ოღონდ, ამხ. ბარამიას მეგრული ნაციონალისტური ჯგუფი მხოლოდ მექრთამე მეგრელთა მფარველობით არ იზღუდება. მას სხვა მიზანიც აქვს – ხელში ჩაიგდოს ყველა საკვანძო პოსტი საქართველოს პარტიულ და სახელმწიფო აპარატში და იქ დანიშნოს მეგრელები. ამ დროს პიროვნებათა საქმიანი მოსაზრებებით კი არ ხელმძღვანელობენ, არამედ მხოლოდ და მხოლოდ მათი მეგრელობით. დამახასიათებელია, რომ იუსტიციის სამინისტროში, პროკურატურასა და ადვოკატურაში ყველა საკვანძო პოსტი მეგრელთა ხელშია. დამახასიათებელია, აგრეთვე, რომ ძალიან მნიშვნელოვანი პოსტები, როგორც საქართველოს კპ(ბ) ცკ-ში, ისე საქართველოს კომკავშირის ცკ-ის აპარატში, ასევე მეგრელთა ხელშია. შეიძლებოდა ამის საწინააღმდეგო არავის არაფერი ჰქონოდა, მეგრელთაგან კარგ პარტიელებს და სახელმწიფო მოღვაწეებს რომ არჩევდნენ, მაგრამ უბედურება ის არის, რომ შერჩეულთა შორის ჭარბობენ ანტიპარტიული და ანტისახელმწიფოებრივი ადამიანები, რომლებიც ზიანს აყენებენ პარტიასა და სახელმწიფოს.

ასეთი გზით შერჩეულ ადამიანთა განმასხვავებელი ნიშანი ის არის, რომ ისინი მოქმედებენ, როგორც განცალკევებული ჯგუფი და გადაიქცნენ ჩაკეტილ ნაციონალისტურ ფრაქციად, რომელიც "შეფის" ამხ. ბარამიას ავტორიტეტს საქართველოს მთავრობის ავტორიტეტზე მაღლა აყენებს. ეს ჯგუფი მეგრელებს ასწავლის თავიანთი სურვილებითა და საჩივრებით მიმართონ არა საქართველოს კპ(ბ) ცკ-ს, არა საქართველოს მთავრობას, არამედ ამხ. ბარამიას. იგი მათ ამას ასწავლის და ხრწნის მორალურად და პოლიტიკურად და ძირს უთხრის საქართველოს პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელობის ავტორიტეტს.

რამდენიმე წლის წინათ საქართველოს კპ(ბ) ცკ-მა დაადგინა, სკპ(ბ) ცკ-მა კი დაამტკიცა სახელმწიფო უშიშროების მინისტრის პოსტიდან ამხ. რაფავას მოხსნა, რომელმაც ამ სამინისტროს აპარატი დაანაგვიანა იმ რაიონის მკვიდრი მეგრელების უვარგისი ელემენტებით, საიდანაც წარმოშობით არის ამხ. რაფავა.

ამხ. რაფავა შეიცვალა სხვა მინისტრით – ამხ. რუხაძით, რომელსაც მიენდო სახუშიშროების აპარატის უვარგისი ელემენტებისაგან გაწმენდა და გაჯანსაღება. წმენდაში მოჰყვნენ მუშაკები საქართველოს ყველა პროვინციიდან, მათ შორის მეგრელებიც, ისეთები, როგორებიც მალანია და სხვები არიან. მაგრამ მეგრელთა „შეფმა“ ამხ. ბარამიამ დაასკვნა, რომ მეგრელთა მიმართ „დაშვებულია უსამართლობა“. მას თურმე არ აინტერესებს სამართლიანად არიან თუ არა გაშვებული სახუშიშროების აპარატიდან არამეგრელები, ვთქვათ, ქართლელი, კახელი, იმერელი, გურული, რაჭველი და ა. შ. მუშაკები, ამასთან, თურმე ნუ იტყვით, მას საქმე არ აქვს. იგი დააინტერესა მხოლოდ ერთმა: რატომ მოყვნენ წმენდაში მეგრელები – მალანია და სხვები. მან ბრძოლა წამოიწყო სახუშიშროების აპარატში მეგრელთა აღსადგენად. მართალია, საქართველოს კპ(ბ) ცკ-მა მისი პროტესტი არ მიიღო, მაგრამ ამხ. ბარამია ბარამია არ იქნებოდა, ცკ-ის გადაწყვეტილებით რომ დაკმაყოფილებულიყო. მან მოსკოვში მოკურცხლა, იქ მოსკოველ მუშაკებს ელაპარაკა საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის სახელით, ბოროტად იყენებდა მოსკოველი მუშაკების ნდობას საქართველოს კპ(ბ)ცენტრალური კომიტეტისადმი და მიაღწია იმას, რომ საქართველოს სახუშიშროების აპარატში აღადგენინა აშკარად უვარგისი მუშაკები.

ასეთია ამხ. ბარამიას და მისი მეგრულ-ნაციონალისტური ჯგუფის სახე.

3. უეჭველია რომ, თუ ამხ. ბარამიას მიერ პრაქტიკაში დანერგილი მეგრული შეფობის ანტიპარტიული პრინციპი სათანადო წინააღმდეგობას არ წააწყდება, თავს წამოყოფენ ახალი „შეფები“ საქართველოს სხვა პროვინციებიდან: ქართლიდან, კახეთიდან, იმერეთიდან, გურიიდან, რაჭიდან, რომლებიც ასევე მოისურვებენ „თავისი“ პროვინციების შეფობას და იქ დანაშაულის ჩამდენთა მფარველობას, რათა ამით განიმტკიცონ ავტორიტეტი „მასებში“, და თუ ეს მოხდა, საქართველოს კომპარტია დაიშლება რამდენიმე პროვინციულ პარტიულ სამთავროდ, რომლებსაც „რეალური“ ხელისუფლება ექნებათ, საქართველოს კპ(ბ) ცკ-ისა და მისი ხელმძღვანელობისგან კი მხოლოდ ცარიელი ადგილი დარჩება.

ასეთია საქართველოს კომპარტიაში ამხ. ბარამიას ჯგუფის არსებობით შექმნილი საშიშროება.

მაგრამ ამხ. ბარამიას ჯგუფის მავნეობა ამით არ შემოიფარგლება. მისი მავნეობა იმაშიც მდგომარეობს, რომ იგი თავისი ანტიპარტიული, ნაციონალისტური მუშაობით ჩირქს სცხებს და სვრის მეგრელი მუშაკების კეთილ სახელს და ბადებს მათ მიმართ უნდობლობას, რაც მათ არ დაუმსახურებიათ.

ზემოთქმულის გარდა, საყურადღებოა კიდევ ერთი გარემოება. ქართული ემიგრაცია პარიზში (ჟორდანია-გეგეჭკორი), როგორც ცნობილია, თავისი ჯაშუშური ინფორმაციებით საქართველოში მდგომარეობის შესახებ, ემსახურება ამერიკის დაზვერვას და ამისთვის დოლარებს იღებს. ბოლო ხანს ამერიკის დაზვერვა უპირატესობას აძლევს გეგეჭკორის ჯაშუშურ ინფორმაციას ჟორდანიას ინფორმაციასთან შედარებით, მაგრამ გეგეჭკორის ჯაშუშურ-სადაზვერვო ორგანიზაცია მხოლოდ და მხოლოდ მეგრელებისგან შედგება. მაშასადამე, საქართველოში არსებობს მეგრელთა მთელი ჯგუფი, რომელიც გეგეჭკორის დაზვერვას ემსახურება. სკპ(ბ) ცკ-ს საფუძველი არ აქვს ამტკიცოს, რომ ამხ. ბარამია გეგეჭკორის ჯაშუშური ორგანიზაციის მონაწილეა. სკპ(ბ) ცკ-ს ეჭვი არ ეპარება, რომ გეგეჭკორის ჯაშუშურ დაზვერვას მეგრელ ნაციონალისტთა საკმაო რაოდენობა ემსახურება, რომლებიც ამხ. ბარამიას ანტიპარტიული და ანტისახელმწიფოებრივი ჯგუფის შემადგენლობაში არიან. საქართველოს სახუშიშროების ამოცანაა გამოავლინოს და მოსპოს სამშობლოს მოღალატეები, რომლებიც უდიდეს ზიანს აყენებენ საქართველოს.

სკპ(ბ) ცკ ადგენს – საქართველოს კპ(ბ) ცკ-ს წინადადება მიეცეს:

1. დაგმოს ამხ. ბარამიას და მისი ნაციონალისტური ჯგუფის ანტიპარტიული და ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობა;

2. ამხ. ბარამია გამოიყვანოს საქართველოს კპ(ბ) ცკ-ს შემადგენლობიდან;

3. იუსტიციის მინისტრის თანამდებობიდან მოხსნას ამხ. რაფავა და ზომები მიიღოს ამ სამინისტროს მუშაკთა შემადგენლობის გადახალისებისათვის;

4. საქართველოს რესპუბლიკის პროკურორის თანამდებობიდან მოხსნას ამხ. შონია და ზომები მიიღოს პროკურატურის მუშაკთა შემადგენლობის გადახალისებისათვის;

5. საქართველოს კპ(ბ) ცკ-ს აპარატის მუშაკები ამხ. კუჭავა და ამხ. ჭიჭინაძე შეცვალონ სხვა გამოცდილი პარტიული ამხანაგებით;

6. გაიშალოს ხანგრძლივი საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა მექრთამეობის წინააღმდეგ და საბჭოთა კანონიერების განმტკიცებისათვის;

7. მიღებულ ზომებზე ეცნობოს სკპ(ბ) ცკ-ს.

სხვათა შორის, პოლიტბიუროს სხდომის ოქმის დედანში, სადაც შემონახულია ამ დადგენილების ალექსანდრ პოსკრებიშევის მიერ ჩაწერილი ეგზემპლარი და გადაბეჭდილი პროექტი სტალინის შესწორებით, არის აღნიშვნა, რომ დადგენილებას არ ახლავს მასალები.

ეს კიდევ ერთხელ გვაფიქრებინებს, რომ დადგენილება მართლაც ერთი კაცის მოფიქრებულ-დაწერილია, ღმერთმა იცის, რის საფუძველზე და რომ მას არავითარი დოკუმენტური მასალა არ განამტკიცებს.

(გაგრძელება მორიგ ნომერში)

## ანონსი:

### აუცილებელი ინფორმაცია;
## აშორდია, მაფალუ და ჟვანია

# ჭრელ-ჭრელი ამბები



**ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში აბდაუბდა განმარტებულია ასე: საბუთიანობასა და თანმიმდევრობას მოკლებული, უთავბოლო მსჯელობა.**

**ოცობოდო მბოდავი, მპროტავი, ფანტაზიორი.**

და როცა აბდაუბდასა და ოცობოდოს დღევანდელობას ვუსადაგებ, ერთიც და მეორეც ზედ გამოჭრილია ნაციონალური მოძრაობის ქართულ დასზე.

სხვათა შორის, როცა ერთმანეთისგან განსხვავებულ პუბლიკაციებს აქვეყნებდა, ერთ სათაურის ქვეშ მოაქცევდა ხოლმე დიდი მგოსანი და ჭრელ-ჭრელ ამბებს უწოდებდა. ნეტავ რა იქნება მისი შესატყვისი უცხოური სიტყვა, ერთ ქართულ სიტყვაში ამდენი „ჭ“ რომ არ გაჭრიჭინდეს თუ გაჭაჭანდეს?!

1908 წლის „ნიშადურში“(N56) „მცირე რამე“ აკაკი შენიშნავს, რომ … „ილია ჭავჭავაძე, გოგებაშვილი, ნიკოლაძე, გ.წერეთლი, ყაზბეგი და სხვ… სუყველა უდიპლომო იყო (თითონ აკაკიც **ც.ლ**.). ახლა, აბა თქვენ მიჩვენეთ დიპლომიანი მოღვაწე… ამით იმას კი არ ვამბობ, რომ დიპლომიანი ნუ გინდათ-მეთქი!.. მაგრამ ჯერჯერობით ცხოვრების გზა ისე უკუღმართად არის ჩვენში მომართული, რომ დღევანდელი დიპლომი ხელს უშლის საქვეყნო შრომას. ავიღოთ დიპლომიანი იურისტი, როგორ უნდა მოიხმაროს დიპლომი? უნდა წავიდეს ადვოკატად… მხოლოდ თავის ჯიბეზე იფიქროს, ხალხი ატყავოს!.. ან შევიდეს „ჩინოვნიკად“ და ეს ხომ კიდევ უარესია, … თუ ექიმია, დრო აღარ აქვს, რომ საზოგადოებაზე იზრუნოს, ის მარტო მაჯის ნახვასა და ენის გამოყოფას უნდება! და თუ მასწავლებელია, კიდევ უარესი: უნდა იხელმძღვანელოს იმ პროგრამით, რომელიც ქართულს ამახინჯებს. ასე რომ, დიპლომი ჯერჯერობით ხაფანგია ჩვენთვის და სხვა არაფერი“… და ვაი რომ შეძლება არ მაქვს, თორემ ამ წერილით არც ჩემ თავს შევიწუხებდი და არც მკითხველს შევაწუხებდი! … დრო კია, ფარისევლობას საზოგადო საქმეში მაინც ბოლო მოეღოს და გზაჯვარედინზე, სხვების დასანახავად ლოცვა აღარ იყოს!.. საქმე სულ სხვას მოითხოვს და ჩვენ კი მხოლოდ ენებათა ვართ გადაქცეული და იმასაც ვერ ვახერხებთ“.

* * *

**ეს ამონარიდი1908 წელსაა გამოქვეყნებული და დღეს ეს 117 წლის წინანდელი წერილის დღვანდელობასთან მისადაგება, მკითხველისთვის მიგვინდია.**

* * *

**2025 წლის 2 იანვარს,** ბედობა დღეს ტელევიზიით უჩვენებდნენ „რომაულ არდადეგებს“, ეს ჩემი სტუდენტობის დროინდელი (1957-1962 წ.წ.) ფილმია, მე 31 მარტს 86 წლის გავხდები, ოდრი და გრიგორი ისევ და ისევ ლამაზები არიან და – იელვებს მოგონება. თუ როგორ ვუმტკიცებდით ერთმანეთს, რომ გრიგორი პეკი ნაღდი ქართველია, ნიჟარაძის გვარისა, ოდრიზე ამ მიმართულებით არაფერი თქმულა, ზოგჯერ კარგია, როცა გვგონია – „რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ“…

და თუ კარგები ვართ ჰა ბურთი, ჰა მოედანი!..

გამოცდილმა რედაქტორმა განცხადება გამოაქვეყნა წასვლაზე, „ლიტერატურულ საქართველოს“ დახურვა ემუქრება, ნუთუ ჩვენში არ გამოჩნდება კი არა, გამოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც ხელში აიღებენ ამ საქმის მოგვარებას, ითავეთ ვინმემ, მე პირადად შევძლებ და ამ საქმისთვის ყოველთვიურად ას ლარს გავიღებ, ნუთუ საქართველოში ისე წავიდა საქმე, რომ ათასი კაცი არ კითხულობს „ლიტერატურულ საქართველოს“?!

* * *



**ყური მოვკარი, ვიღაცამ უმისამართოდ, დაუმსახურებლად, სიტყვა ხიხო იხმარა.** აღნიშნულ სიტყვას დღემდე გამოცემულ ვერცერთ ლექსიკონში ვერ ნახავთ, ის ქალაქ თბილისის კუთვნილებაა და იოსებ გრიშაშვილი ასე განმარტავს – „ხიხო ზედმეტი სახელია გამოუსვლელი, უშნო კაცისა,“ საოცრებაა!!!

ნოდარ დუმბაძე ერთგან აღნიშნავს „სოფელში რომ ჩავდივარ, ქალაქელ ჯიბგირს მეძახიან, თბილისში რომ ჩამოვდივარ ხიხოს,“ იმისთანა ხიხოები, მავანნი და ნოდარ დუმბაძე რომ არიან, ღმერთმა უმრავლოს საქართველოს, თუმცა ყველას მოეხსენება, „ენით დაკოდილის“ არაკი. მათეს სახარება გვმოძღვრავს, რომ **„პირით შემავალი კი არ შებილწავს კაცს, არამედ პირიდან გამომავალია ის, რაც შებილწავს კაცს, ნუთუ არ გესმით, რომ ყველაფერი, პირით შევა, მუცელს გაივლის და გარეთ გამოვა. ხოლო პირით გამომავალი, გულიდან გამოდის და სწორეთ ის ბილწავს კაცს. ვინაიდან გულიდან გამოდიან უკეთურებანი, გმობანი, ესენი არიან კაცის შემბილწავნი. ხოლო ხელდაუბანლად ჭამა არ ბილწავს კაცს“…**

* * *

**დღევანდელი** ტექნოლოგიებისა და მიღწევების შედეგად ცნობილმა ფრაზამ „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“ რამდენადმე დაკარგა მნიშვნელობა, რადგან ფოტოები გვაბრუნებენ შორეულ წარსულში და კიდევ ერთჯერ განგვაცდევინებენ დიდ სიხარულსა თუ მწუხარებას და ამადაც ღირს წარსულის გახსენება, ზოგს იგი ძალზედ უზრუნველი, ზოგს კი შრომისა და ჭაპანწყვეტის დარად მოაგონდება. და მაინც ნებისმიერი ადამიანი წარსულს ყოველთვის ნეტარებით მოიგონებს და გამოთქმა „ნეტავ იმ დროს“… ძალუმად ჟღერს და მართლაც ნეტავ იმ დროს!!! როცა ძალ-ღონითა და ენერგიით აღსავსე, კარგი ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის მომლოდინე შენი ქვეყნის ბედნიერებისთვის სხვის ხელში მყოფი ახერხებ და მოდიხარ დღემდე, როცა თითქმის მთელი ერი იბრძვის ერთი მიზნისკენ, დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის, შენ კი ვინც გინდა იყო, გინდ სალომე და გინდა თაკო, რას ოპოზიციონერობ შე „კარგო ქალო“?!…

* * *

**– დალოცვილო, თქვენ სულ თქვენსას გაიძახით და ახლა სხვებისაც გაიგონეთ! – ხმა ღვთისა და ხმა ერისაო.**

–კიდეც ეგ არის, რომ სხვანაირად გესმით ერიცა და მისი ხმაც: ხშირად ბრბო ჩვენი ერი გვგონია და ყოველდღიური ჭირი–ხმა ღვთისა, მაშინ როდესაც მათში დიდი განსხვავებაა: ის ხმა, რომელიც უდრის „ღვთის ხმას“, ყოველდღიური მითქმა-მოთქმა კი არ არის, საუკუნეების განმავლობაში ხალხის გრძნობა-გონების ბრძმედში გატარებული და ბოლოს სამარადისოდ დადგენილი ჭეშმარიტებაა. მთელი იერუსალიმი ჰყვიროდა: „ბარაბა“, ავაზაკი გაუშვით და ჯვარს აცვით ნაზარეველიო“, მაგრამ ეს მაინც ბრბოს მითქმა-მოთქმა იყო და არა ხმა ერისა… და ხმა ერისა მხოლოდ ის გამოდგა, რომელმაც აღიარა იგივე ჯვარცმული მაცხოვრად. ეჰ, რაღა ბევრი ვსთქვათ?! – საწყენი ის კი არ არის, რომ ჩვენ ჩვენს აზრს დაუფარავად ვამბობთ, სამწუხარო ის არის, რომ დღეს „ბურთი და მოედანი“ **უგნურებს დარჩენია და უმეცრება კუდაბზიკა ლიბერალობაზე გადამჯდარა და თვითონაც არ იცის, საით მიაჭენებს და რისთვის? ვისაც ასხიან ყურნი სმენად - ისმინონ“,** გვმოძღვრავს სულმნათი.

* * *



**P.S გიორგი კალანდიას, რევაზ თაბუკაშვილის და გურამ შარაძის ღირსეულ მემკვიდრეს, ორმოცდაათი წლისთავს ულოცავს აკაკი წერეთლის მუზეუმის დირექცია და თანამშრომლები. დაე, გასავლელი ორმოცდაათი წელი კიდევ მეტი ხელხვავიანი ყოფილიყოს შენი და შენი სამშობლოს დიდებისათვის ბრძოლასა და შრომაში. მრავალჟამიერ!!**



**ცეზარ ლაშხი,**
**აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი**

# საბავშვო უზანგები

**თავის საწოლში, ეტლში ან რამეზე მწოლიარე ჩვილმა ბავშვმა ფეხების სხმარტალისას თუ საყრდენი იპოვა, ეს დიდ სიამოვნებას განაცდევინებს, ვინაიდან თვითდამკვიდრების პროცესს შეიგრძნობს! ხოლო რამეზე ფეხების მიჭერით ადგილი სულ მცირე მანძილითაც რომ მოინაცვლოს, ეს გამომეტყველებაზე მაშინვე ეტყობა – თავისი ფიზიკური უნარის მოულოდნელი აღმოჩენა ბავშვურ აღმაფრენას ანიჭებს!.. ასე რომ, ბავშვი ადრეული ასაკიდანვე რწმუნდება თავისი ფეხების გასაოცარ შესაძლებლობაში – მისი მეშვეობით დაღოღავს, დაბარბაცებს, დადის, დარბის, დახტის, დასკუპსკუპებს!..**



რისთვის დამჭირდა ამგვარი შესავალი? მთელ მსოფლიოში გავრცელებულ ჩვილი ბავშვის სატარებელ ჩანთაში „კენგურუ“ უნაკლოდ ჩაკრული და ახლობლის თბილ სხეულს ზურგით ან მკერდით ატმასნილი პატარა თავისი ჩვეულების მიხედვით ფეხებს ახლაც დაჟინებით ასხმარტალებს, კვლავ რაიმე საყრდენი რომ იპოვოს, მაგრამ ამაოდ! ამიტომ მას გაცბუნებისა და არასრულფასოვნების გამომეტყველება ეძლევა – ამ თავისი „ყოვლისშემძლე“ ფეხებით სხვა დროს და სხვა პირობებში თუკი ადვილად პოულობდა რამე საყრდენს, მაშ, ახლა რაღა მოხდა – ჰაერში უაზროდ მოქანავე ამავე ფეხებმა რატომ დაკარგა ძველებური უნარი?!

ჰოდა, რა იქნებოდა, ჩვილ ბავშვთა სატარებელ „კენგურუს“ ჩანთებს… იმავე ქსოვილის უზანგებიც დამატებოდა!!!

აბა, წარმოვიდგინოთ, ცხენ-უნაგირის გაჩენის დღიდან როგორი იქნებოდა ცხენდაცხენ მტერთან მეომრის, საერთოდ, მხედრის თუ ცხენოსან-სპორტსმენის უნაგირი… უზანგების გარეშე!

**მაშ, „კენგურუს“ ჩანთით სატარებელმა პატარამ რაღა დააშავა?! ამ შემთხვევაში ბავშვის მთელი სიმძიმე მარტო მის საჯდომზე კი არ მოვიდოდა, არამედ ფეხებზეც გადანაწილდებოდა – ეს კი ხელს შეუწყობდა მისი პროპორციული აღნაგობის ჩამოყალიბებას! ამასთან, პატრონსაც აღარ შეაწუხებდა ჩვეული საყრდენის მაძიებელი ბავშვის ფეხების დაუსრულებელი ცემა!.. თანაც, საჭიროებისამებრ, უზანგებში ბავშვს ფეხებს უწვალებლად შეაყოფინგამოაღებინებდა!.. და რაც მთავარია, პატარას აქედანვე ჩამოუყალიბდებოდა ჯანსაღი ფსიქიკა და საკუთარი შესაძლებლობისადმი რწმენა! ის უაზროდ ფეხებჩამოკიდებული, თავისი ახლობლის პასიური ტვირთი კი არ არის, არამედ საკუთარ ფეხებზე საიმედოდ მდგარი – მოძრაობის, სიცოცხლისა და ამ ცხოვრების აქტიური მონაწილე!!! საინტერესოა, ამაზე რას იტყვიან ბავშვთა ფსიქოლოგები, „კენგურუს“ მწარმოებლები, ბავშვის მშობლები?!**



**ჯემალ მეხრიშვილი**
მწერალი

# სვანური ზარის შემსრულებლებს სასცენო სამოსი გადაეცათ



**პროექტი ანზორ ერქომაიშვილის** სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ორგანიზებით და საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით განხორციელდა.

**„სვანური ზარის შესწავლის ხელშეწყობის მიზნით, ფოლკლორის ცენტრმა რამდენიმე პროექტი განახორციელა, მათ შორისაა ზემო და ქვემო სვანეთის (8 თემის) წარმომადგენლების მიერ თბილისში, ხალხური სიმღერის ახალგაზრდა შემსრულებელთათვის უძველესი სვანური ტრადიციის გაზიარება-შესწავლა.**

**ფოლკლორის ცენტრში ასევე ინტენსიური სამუშაოები ტარდება, ზარით დაკრძალვის სვანური რიტუალისთვის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ეროვნული სტატუსის მინიჭების მიმართულებით“,** – აღნიშნულია ფოლკლორის ცენტრის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

საქართველოს რესპუბლიკა




პაატა ნაცვლიშვილი

# ფეისბუქი-2024 რჩეული პოსტები

2 ივნისი, 2024

## კალამბურული კასტინგისათვის

მე რომ შემთხვევით ფრანგი კინორეჟისორი ვიყო, ტიბო კურტუას ავიყვანდი შარლ დე გოლის როლზე (თან ფინალში გოლი არ გაუშვია!)



12 ივნისი, 2024

## ნეტა, რა საიდუმლოს გულისხმობდა იოანე-ზოსიმე?

**მარტინ შოიენი და მისი კოლექცია გუშინ მთელი საქართველოს სალაპარაკო გახდა. ხოლო იოანე-ზოსიმემ სატელევიზიო თუ ინტერნეტის სივრცეში ლაზარე გრიგორიადისი, სალომე ზურაბიშვილი და ზუდუ ზივზივაძეც კი შეავიწროვა.**

არა მგონია, რომ ამ სივრცეებში გუშინდლამდე ბევრს სცოდნოდა იოანე-ზოსიმესა და კიდევ უფრო მეტად მარტინ შოიენის სახელი. იოანე-ზოსიმე კი, მაგრამ მარტინ შოიენის სახელი, ჩემდა სამარცხვინოდ, მეც პირველად გავიგე. ჩემს სტუდენტებს გამუდმებით მოვუწოდებ, თუ სადმე რამ უცნობი სახელი ან ტერმინი შეხვდათ, არ დაიზაროთ იმავე წამს დაგუგლვა – მე რომ მჭირდებოდა თქვენს ასაკში ბიბლიოთეკებში ენციკლოპედიების ქექვა ან ზარი ახლობელთან, თქვენ ეს ორიოდე წუთში უნდა დააზუსტოთ-მეთქი. ჰოდა, მეც მიმოვგუგლე და აი, რა გავარკვიე:

მარტინ შოიენი. ნორვეგიელი ბიზნესმენი და კოლექციონერი. 84 წლის. არის მემკვიდრე და მფლობელი კომპანიისა M.O. Schøyens Bilcentraler.

ძველი ხელნაწერების შეგროვება დაიწყო 1955 წლიდან, 15 წლის ასაკში და ამჟამად ფლობს ისტორიული ხელნაწერების მსოფლიოში ყველაზე დიდ კერძო კოლექციას, რომელშიც 13500-ზე მეტი ერთეულია. მათგან უძველესი 5000 წლის წინანდელია. მის კოლექციაშია ქვაზე, თიხაზე, პაპირუსზე, ტყავზე თუ ქაღალდზე შესრულებული ხელნაწერები – აქ არის ტუტანხამონის ბეჭედი, ხამურაბის კანონები, მკვდარი ზღვის ჩანაწერები, მსოფლიო ლიტერატურის მრავალი შედევრი – გილგამეშიდან შექსპირამდე...

შოიენის კოლექციის ერთი ნაწილი – 1500 მეტი ხელნაწერი ხელმისაწვდომია ონლაინსივრცეში: **https://www.schoyencollection.com/**

შოიენის კოლექციები დაცულია ოსლოსა და ლონდონში. წლების წინ იყო მცდელობა კოლექცია 850 მილიონ დოლარად შეეძინა ნორვეგიის მთავრობას, მაგრამ პროექტი ვერ განხორციელდა, რადგან კოლექციის ნაწილს არ ჰქონდა წარმომავლობის ისტორია და ზოგიერთ მათგანის დაბრუნებას სხვადასხვა ქვეყანა ითხოვდა და ითხოვს. კოლექციის ნაწილების წარმოშობის ისტორია ლონდონში მოწყობილ გამოფენასთან დაკავშირებით, მოგვიანებით გამოკვლეული იქნა ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯის მიერ, მაგრამ გამოკვლევის ანგარიში არ გახმაურებულა.

2012 წელს შოიენის კოლექციის მცირე ნაწილი გაიყიდა ნორვეგიის სიმდიდრის გადასახადის დასაფარავად. 2024 წლიდან კი კოლექციის რამდენიმე ნიმუში სოთბისა და კრისტის აუქციონებზე გამოჩნდა. მათ შორის – იოანე ზოსიმეს ხელნაწერი სინის მთის წმინდა ეკატერინეს მონასტრიდან, რომელიც გუშინ ბიძინა ივანიშვილმა შეიძინა კრისტის აუქციონზე მილიონ 250 ათას გირვანქა სტერლინგად და საქართველოში შესაბამის სახელმწიფო საცავს გადაეცემა საჩუქრად.

ხოლო რას ნიშნავს, რომ ეს ხელნაწერი სწორედ იოანე-ზოსიმესი აღმოჩნდა, რომლის ხსენებაზე მისი ის ცნობილი სიტყვები გვახსენდება, რომ „ყოველი საიდუმლოო ამას ენასა შინა დამარხულ არს“, ვინძლო იმაზე მიგვანიშნებდეს, რომ ახლო არს ამ „საიდუმლოოს“ გამჟღავნების ჟამი...

ასეთი ძვირფასი აღარ, მაგრამ ზედაპირული მონაცემებით, შოიენის კოლექციაში კიდევ ხუთი ხელნაწერია, რომელიც შეიძლება საინტერესო აღმოჩნდეს საქართველოსათვის. მე სკრინშოტით ამოვიღე მათი ნუსხა. თუ მარტინ შოიენი მათ გაყიდვას გადაწყვეტს, ბიძინა ივანიშვილის გარდა არაერთ რიგით ქართველ მილიონერსაც შეეძლება ამ ხუთი ლოტის შეძენა. ოღონდ მთავარია ერთმანეთში წინასწარ მოილაპარაკონ, რომელი იკისრებს ამგვარ ქველმოქმედებას, რომ აუქციონზე ერთმანეთს არ დაეტაკონ!

ასე რომ, ყურადღებით იყავით, მდიდარო ქართველებო! ამ მხრივაც ადევნეთ თვალი აუქციონების ანონსებს! თუ მოინდომებთ, შოიენის კოლექციის საიტზე თითოეული ამ ხელნაწერის აღწერილობასაც შეიძლება გაეცნოთ.

12 ივნისი, 2024

## სიხარული მარკებში

**დღეს მიმოქცევაში შემოვიდა საქართველოს მარკების სამმარკიანი სერია, რომელიც საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობას ეძღვნება. ახალი მარკების პრეზენტაციაც გამართულა „რედისონში“ – ჩემმა სტუდენტებმა მომწერეს. ფეხბურთისადმი მიძღვნილი ჩემი ძველი მარკებიც გამოუფენიათ. ფოტოც გამომიგზავნეს.**

არ ვიცი, საქართველოს საფოსტო ადმინისტრაციას რამდენი მარკა აქვს სადღეისოდ ფეხბურთისადმი მიძღვნილი, მაგრამ პირველი სამი გამოშვების ავტორი მე ვარ – 2001-2004 წლებში ერთი მარკა, ერთი ბლოკი და ერთი ოთხმარკიანი სერია გამოვიდა ჩემი დიზაინით. ჩემი დიზაინით გამოვიდა აგრეთვე ევროპისადმი მიძღვნილი პირველი ქართული მარკაც.

სულ კი წლების განმავლობაში ალბათ 70-ზე მეტი მარკა მექნება გაკეთებული საქართველოს ფოსტისათვის, თან სწორედ მაშინ, როცა ეს საქმე ფეხს იდგამდა საქართველოში. მათგან ნახევარზე მეტი სპორტულ თემატიკას ეძღვნება. დამოუკიდებლობააღდგენილი საქართველოს სულ-სულ პირველი მარკების ავტორიც მე ვარ – პირველი, მეორე და მესამე გახლავთ მათი რიგითი ნომრები საქართველოს მარკების ოფიციალურ კატალოგში.

ბოლო ამბები ნაკლებად ვიცი, მაგრამ საერთო რაოდენობით ალბათ მხოლოდ ჩემს მეგობარს ზაადურ ქობლიანიძეს ექნება ჩემზე მეტი ქართული მარკა გაკეთებული. სხვათა შორის, სწორედ ის არის ამ ახალი მარკების დიზაინის ავტორი.

მერე რა, რომ არავინ დამპატიჟა, მართლა გამიხარდა ქართული მარკების ეს ახალი საფეხბურთო სერია, როგორც ქართველს, როგორც ფეხბურთის გულშემატკივარს, როგორც საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დამფუძნებელს, როგორც ფილატელისტს, როგორც მარკის დიზაინერს...

მაგრამ კიდევ უფრო გამიხარდებოდა, თუ **საქართველოს ფოსტა/Georgian Post** პრეზენტაციის ამბავს გამაგებინებდა და საშუალებას მომცემდა, ჩემი აღტაცება ამ ფაქტისადმი „რედისონში“ შეკრებილი პუბლიკისთვისაც გამეზიარებინა და გამოშვების საკოლექციო ეგზემპლარსაც შემახვედრებდა.

და, რა თქმა უნდა, უფრო მეტად გამიხარდება, რომ ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ საქართველოს ფოსტას კიდევ ერთხელ მიეცეს მარკების გამოშვების საბაბი ჩვენი ფეხბურთელების გერმანიაში წარმატებული გამოსვლის აღსანიშნავად. მარკებს, – რას იზამ, – მშრალ ხიდზე ვიყიდი, მათ შორის ალბათ საკოლექციო ეგზემპლარებსაც.

16 ივნისი, 2024

## სიტყვის ფასი

**ძალიან არ მიყვარს, როცა პოსტს მოცულობით კომენტარი აჭარბებს, მაგრამ ახლა სწორედ ასე მომიწევს, თუ ჩემი ციტატა მოცულობით ფეისბუქსაც არ ეზევრა. თუ არადა, გავაზიარებ ჩემი მეგობრის ამ პოსტს და ჩემს კომენტარსაც იქვე დავურთავ შესავლად. ან ერთსაც ვიზამ და მეორესაც – საკითხი დიახაც იმსახურებს ამას.**

აქამდე ორჯერ მქონდა ჩემი ამ ციტატის საჯაროდ გახსენების სურვილი: ერთი შემთხვევა აღარ მახსოვს, მეორეს კი – რა დამავიწყებს – ბალკანეთში გადაცხოვრებულმა მართლა კარგმა სპორტსმენმა ტელეინტერვიუში ჟურნალისტს უთხრა – ახლა სერბეთში ვმოღვაწეობო. ის რომ სიტყვა „მოღვაწე“ ძალიან ფრთხილად უნდა იხმაროს ადამიანმა აქამდეც ბევრჯერ დამიწერია და არაერთხელ მითქვამს სტუდენტებისთვის, ამ ინტერვიუს მერე კი სხვა რამეზე დავფიქრდი: უთქვამს თუ არა რომელიმე ილია ჭავჭავაძეს ან ნიკო ნიკოლაძეს საზოგადო მოღვაწე ვარო, – ან წერილობით და ან ზეპირად?! არა მგონია. ეს დაახლოებით იგივეა, ადამიანმა რომ თქვას, – გარდავიცვალეო. ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს ეს სერბეთში „მოღვაწე“ სპორტსმენი.

ჰოდა, ახლა იმ ციტატის გახსენება ჩემი მეგობრისა და ძალიან მაგგარი ჟურნალისტის ამ პოსტმა მომანდომა, სადაც ის ცნობილ მოღვაწეებში აკაკი წერეთელს არ ასახელებს:

აი, ნახეთ:

„არ გეგონოთ ვინმესთვის ჭკუის დარიგებას ვაპირებდე, უბრალოდ, მაინტერესებს, თუ მერაბ ელიოზიშვილი „უდიდესი ქართველი მოღვაწეა“, რა ეპითეტებით შეამკობდით, მაგალითად, გრიგოლ ხანძთელს, იოანე ზოსიმეს, შოთა რუსთაველს, ვაჟა-ფშაველას, ილია ჭავჭავაძეს, ექვთიმე თაყაიშვილს, ნიკო ნიკოლაძეს, ივანე მაჩაბელს, იაკობ გოგებაშვილს, ივანე ჯავახიშვილს“...

არა, ნურავინ იფიქრებს, თითქოს აკაკი წერეთლის გამოსარჩლებას ვაპირებდე.

არა და არა.

ჭკუის დარიგებას კი, ჩემი მეგობრისგან განსხვავებით, მართლა ვაპირებ. ვაპირებ მათთვის, ვისაც სიტყვა „მოღვაწისა“ და „მოღვაწეობის“ წაღმაუკუღმა ტრიალი არაფრად უღირს და მათთვის, ვინც იცის, რომ ჭკუა ცოდნით მოიხმარების და რჩევის შესმენაც შეუძლია!

რა არის ამისთანა, რა თქვი ან როდის ასეთი ჭკუის სასწავლი, ან რა წესია საკუთარი თავის ციტირებაო, – იტყვის ალბათ ზოგიერთი, ვისაც ძალიან არ უყვარს, როცა ჭკუას ასწავლიან.

რა და, 2001 წლის 9 აგვისტოს „დილის გაზეთში“ დაიბეჭდა ჩემი რეცენზია დიმიტრი შევარდნაძის მშვენიერი ალბომის გამო, რომელიც სწორედ ამ კითხვით დავიწყე:

„რა არის საზოგადო მოღვაწე?“

და ამ კითხვაზე ჩემმა პასუხმა იმაზე მეტი ადგილი დაიკავა გაზეთში, ვიდრე თავიდან ვვარაუდობდი

ჰოდა, ახლა ის ჩემი ვრცელი ციტატა:

„არის თუ არა, მაგალითად, მოღვაწე დიდი დასტაქარი, ან გენიალური არქიტექტორი, ან ბრძოლაწაუგებელი მთავარსარდალი, ან იგავმიუწვდომელი პოეტური ქმნილებების ავტორი?

ჩემი აზრით, ის ფაქტი, რომ პიროვნება საზოგადოებაში გამოჩინებული, შეიძლება ძალიანაც გამოჩინებული ადამიანია, სულაც არ ნიშნავს, რომ იგი საზოგადო მოღვაწეა ან უბრალოდ – მოღვაწე.

რაგინდ დიდი პოპულარობა, რაგინდ დიდი წარმატებები საკუთარ პროფესიაში თუ „ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობა“ ერთ კონკრეტულ დარგში, მოღვაწეობას არ ნიშნავს. არც ქველმოქმედებაა მოღვაწეობა. ქველმოქმედება ქველმოქმედებაა. მეორე მხრივ, საზოგადო მოღვაწეობა არც პროფესიულ წარმატებებს გამორიცხავს და არც ქველმოქმედებას. მოღვაწეობამ არ იცის პროფესია და დარგი, არ იცის საქმიანობის ესა თუ ის სფერო. მოღვაწეობა საჭირო დროს (ან დროზე ადრე) ისეთ საქვეყნო საქმეთა კეთებაა, უშუალოდ რომ არ უკავშირდება ადამიანის მიერ არჩეულ პროფესიას, საქმიანობასა თუ თანამდებობას, რომლითაც იგი თავსა და ოჯახს ინახავს. გარკვეული თვალსაზრისით მოღვაწეობა ცხოვრების წესია.

ნურავინ იფიქრებს, ამით ვინმეს ვაკნინებდე, ვინმეს პატივსა და ღირსებას ეჭვქვეშ ვაყენებდე, ვინმეს დამსახურებას ვივიწყებდე. გურამ დოჩანაშვილი დიდი მწერალია და მის შემოქმედებას, მის მწერლურ სახელსა და დიდებას, ღირსებასა და პატივს არაფერი მოაკლდება, თუ ვიტყვი, რომ იგი მოღვაწე არ გახლავთ.

თუმცა იმდროინდელ საზოგადოებაში მასზე ცნობილი და პოპულარული არავინ იყო, აკაკი წერეთელი არ ყოფილა მოღვაწე, იგი უდიდესი პოეტი გახლდათ. ილია ჭავჭავაძე და ნიკო ნიკოლაძე პირიქით – უდიდესი მოღვაწენი ბრძანდებოდნენ, რომელთა დარი ალბათ არც ჰყოლია საქართველოს. გალაკტიონიც არ ყოფილა მოღვაწე, არც კონსტანტინე გამსახურდია, არც გრიგოლ რობაქიძე, მოღვაწე ექვთიმე თაყაიშვილი იყო, კიდევ – გიორგი ლეონიძე, კიდევ – იოსებ გრიშაშვილი, კიდევ – რეზო თაბუკაშვილი...

ყველაზე უკეთ ურთიერთმიმართება ერთ დარგში მიღწეულ წარმატებებსა და მოღვაწეობას შორის სპორტში ჩანს. და ალბათ თეატრში. გამოჩინებულ სპორტსმენზე და მსახიობზე პოპულარული საზოგადოებაში არავინ არის, მაგრამ მოღვაწე სპორტსმენები და მსახიობები თითებზე შეიძლება ჩამოითვალოს. სამაგალითოდ ახლა მხოლოდ გიორგი ნიკოლაძე და ვალერიან გუნია მახსენდება. ნონა გაფრინდაშვილიც კი, ლეგენდარული ნონა გაფრინდაშვილი, მხოლოდ დიდი მოჭადრაკე იყო, დიდი ჩემპიონი, სანამ თავისივე სახელობის ფონდს და ახალდაარსებულ ოლიმპიური კომიტეტს არ ჩაუდგებოდა სათავეში.

მხატვრები ავიღოთ: მადლობა ღმერთს, ფიროსმანის მოღვაწეობაზე არავინ ლაპარაკობს. მოღვაწე არც ლადო გუდიაშვილი ყოფილა, არც ელენე ახვლედიანი. მოღვაწე დიმიტრი შევარდნაძე იყო.“

აი, ასეთი იყო დიმიტრი შევარდნაძის ალბომისადმი მიძღვნილი ჩემი რეცენზიის შესავალი. სწორედ ამ შესავლის გამო რეცენზიას საკმაო გამოხმაურება მოჰყვა, იმაზე მეტი, ვიდრე მაშინ საგაზეთო პუბლიკაციას შეიძლება ჰქონოდა, ხოლო ბატონმა რეზო ბალანჩივაძემ თავის წიგნში ეს ციტატაც დაიმოწმა და მოიწონა კიდეც.

გურამ დოჩანაშვილს კი მე თავად ვუთხარი, გაზეთში ასე და ასე დავწერე და სანამ ვინმე გადაბრუნებულად გეტყვის, ჯობია ჩემგან იცოდე-მეთქი. გაიცინა, ზუსტად გითქვამს – რომელი მოღვაწე მე ვარო.

თუ იცოდა ვინმემ სიტყვის ფასი და მნიშვნელობა, გურამ დოჩანაშვილი პირველი იყო მათ შორის.




ლელიკო ნანეიშვილი

**რამდენიმე დღის წინ თბილისის დიდი სლემის ტურნირზე ქართველმა ძიუდოისტებმა, ისე როგორც სხვა მაღალი რანგის შეჯიბრებებში, მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს. ეს არც არის გასაკვირი — ცხრა ათეული წლის წინათ (!) ჩვენთან საფუძველჩაყრილი იაპონური ძიუდო საქართველომ არა მხოლოდ სპორტის სახეობად მიიღო, არამედ ნამდვილი კულტურული და ეროვნული თვითგამოხატვის ნაწილად აქცია.**

**ჩვენმა ჩემპიონებმა ძირძველი ქართული ჭიდაობიდან მომდინარე ჭკვიანური ბრძოლით — ტატამიზე იმპროვიზაციით, არასტანდარტული გადაწყვეტილებებითა და დაუნდობელი შემართებით, იაპონური ტრადიციებისა და ქართული მებრძოლი სულის შერწყმით მსოფლიო ძიუდოს ახალი სტანდარტები შესძინეს.**




# „რბილი გზა“ საქართველოში

**1882 წელს ტოკიოს ცენტრში ძიგორო კანომ გახსნა სპეციალიზებული, ძიუდოს შემსწავლელი სკოლა „კოდოკანი“ („გზის შესწავლის სკოლა“).**

აღმოსავლური ორთაბრძოლების სისტემებიდან გამოყო დაცვისა და თავდასხმის რაციონალური, ეფექტური ილეთები, მეცნიერულად დაამუშავა ისინი და შექმნა ჭიდაობის ჰუმანური, მწყობრი და ერთიანი სისტემა „ძიუდო“ (იაპონურად ძიუ – „რბილი“ + დო – „გზა“), რომელსაც სასპორტო ხასიათი შესძინა. თავიდან კანოს არ სურდა, რომ ძიუდო საშეჯიბრო ხელოვნება ყოფილიყო, მაგრამ, როგორც პროგრესული შეხედულებების ადამიანი, მიხვდა, რომ მისი შემდგომი განვითარება საერთაშორისო აღიარების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. მან უჩვენა ის გზა, რომლითაც უნდა წასულიყო თანამედროვე ძიუდო [1]. მართლაც, ეს სახეობა მსოფლიოში მალევე გახდა პოპულარული. მაგალითად, ევროპაში ძიუდოისტთა პირველი ოფიციალური საერთაშორისო შეხვედრა მოეწყო 1929 წელს გერმანიისა და ინგლისის გუნდებს შორის, ხოლო 1934 წელს დრეზდენში პირველი ევროპული ინდივიდუალური შეჯიბრება გაიმართა.

დღემდე დამკვიდრებული მოსაზრებით, ძიუდომ ყოფილ საბჭოეთში გასული საუკუნის 50-იანი წლების მიწურულს მოიკიდა ფეხი. 1957 წელს საბჭოთა კავშირში უნგრული კლუბების – „დოჟას“ და მტკ-ს ძიუდოისტები მოიწვიეს, რომლებსაც საკავშირო სპორტსაზოგადოება „დინამოს“ და „ბურევესტნიკის“ სამბისტები დაუპირისპირდნენ (ქართველთაგან შალვა დაუშვილი, ბიძინა მაზიაშვილი, გურამ სიმონიშვილი და ოთარ შინჯიკაშვილი მონაწილეობდნენ). შეჯიბრება წინასწარი შეთანხმებით გაიმართა: ორთაბრძოლებში არ გამოიყენებდნენ მახრჩობელა ილეთსა (რომელიც დასაშვებია ძიუდოში და აკრძალულია სასპორტო სამბოში) და ფეხზე მტკივნეულ ფანდებს (სამბოში ნებადართულსა და ძიუდოში აკრძალულს). საბჭოთა სამბისტებმა მოსკოვში 24:0 გაიმარჯვეს. საპასუხო შეხვედრას დეკემბერში უნგრეთმა უმასპინძლა. საბჭოელებმა ისევ მიაღწიეს წარმატებას, ამჯერად – 23:1.

ამავე ვერსიით, „პირველი სექციები და კლუბები მოსკოვში, ლენინგრადში, კიევსა და თბილისში 1961 წელს შეიქმნა. ძიუდოს ჩვენში, უკვე დანერგილი და გავრცელებული სამბოს გამგრძელებლის როლი დაეკისრა და ამიტომაც მოიკიდა ფეხი მტკიცედ... სამბო, ფაქტიურად, საფუძველი გახლდათ, რაზეც შემდგომში ძიუდო აღმოცენდა” (გაზეთი „ლელო”,1990 წლის 27 თებერვალი)... „12 აპრილს სპორტის სასახლეში თბილისელებმა პირველად იხილეს ჭიდაობა ძიუ-დო” (გაზეთი „ლელო“, **N**74, 1962 წლის 14 აპრილი).

მართლაც ასეა?

### ძიუდო მასებში

**ევროპის, აზიისა და ამერიკის ქვეყნებში ძიუდოს პოპულარობას ხელს უწყობდა ამ სახეობის არა მარტო სასპორტო მხარე, არამედ – მეტწილად**

## 90 წლის წინათ გაკვალული...

**ფიზიკური და სულიერი აღზრდის სისტემის პროგრესულობა. ცხადია, ყოველივე ეს ვერც რუსეთის იმპერიას და ყოფილ საბჭოთა კავშირს დატოვებდა გულგრილს.**

გასული საუკუნის 20-30-იანი წლების ჟურნალ-გაზეთებზე მუშაობისას 1933 წელს თბილისში რუსულ ენაზე დაბეჭდილ ჟურნალ


სპორტის მოღვაწეთა დაუვიწყარი კადრი

**Физкультурник Закавказья**-ში ერთ საინტერესო მასალას წავაწყდი – ა. სტანკევიჩის საკმაოდ ვრცელ წერილს სათაურით – „ძიუ-დო მასებში“. ავტორის ინფორმაციით, მშთ-ს ნორმატივების მე-2 კომპლექსის ჩასაბარებლად უდიდესი მნიშვნელობა აქვს დაცვისა და თავდასხმის იაპონური ორთაბრძოლის – ძიუდოს ილეთების კარგ ცოდნასო.

ზემოაღნიშნულის უკეთ გასააზრებლად ამ სტატიიდან რამდენიმე ამონარიდს შემოგთავაზებთ: „ძიუ-დო ფიზიკური აღზრდის სისტემაა რეაქციის, ტერორისა და ინტერვენციის ქვეყანა იაპონიაში... იაპონურმა ბურჟუაზიამ ფიზიკური აღზრდის მთელი სისტემა ააგო საბრძოლო ვარჯიშების კომპლექსის საფუძველზე, რომელსაც კოლოსალური სამხედრო-გამოყენებითი მნიშვნელობა აქვს... ძიუ-დო იმდენად ცუდად არის გავრცელებული ჩვენში, რომ ფიზიკური კულტურის მუშაკებს, რომ არაფერი ვთქვათ ფართო მასებზე, მასზე წარმოდგენა არა აქვთ... იაპონიამ ძიუდო დანერგა არმიაში, ფლოტში, პოლიციაში, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში“... ავტორი პუბლიკაციის ბოლოს სპორტის მუშაკებს მოუწოდებს, ფართო მუშაობა გაშალონ „საბჭოთა კავშირის მასებში ძიუ-დოს დასანერგავად და ძიუ-დოს ტექნიკის სერიოზულად ასათვისებლად“ [2].

ცხადია, ძიუდოს სსრკ-ის მასებში დანერგვა მთავრობის პოლიტიკა რომ არ ყოფილიყო, არა გვგონია, 1933 წელს სტანკევიჩს ასეთი სითამამე გამოეჩინა და „რეაქციის, ტერორისა და ინტერვენციის ქვეყნის“ – იაპონიის ფიზიკური აღზრდის სისტემისთვის მსგავსი პროპაგანდა გაეწია.

ინტრიგამ ახალი ძიებისკენ მიბიძგა. რუსულ, ბელარუსულ და უკრაინულ წყაროებზე მუშაობისას მიხაილ ლუკაშევის, სერგეი ივანოვ-კატანსკის, ანატოლი ხარლამპიევის, ანატოლი ხლოპეცკის, ბორის ხრამოვის, ვლადიმირ გრიშჩენკოვისა და სხვათა ნაშრომებში ფართო მასებისთვის დღემდე უცნობ ბევრ საინტერესო მასალას გავეცანი. ცხადი გახდა, გასული საუკუნის 80-იანი წლების მიწურულამდე საბჭოთა კავშირში ძიუდოს განვითარებაზე ინფორმაციებს აჩუმათებდნენ ან ტაბუდადებული იყო – გრიფით „საიდუმლო“.

პუბლიკაციებიდან ირკვევა, რომ 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიის ომში რუსეთის დამარცხების შემდეგ ჩნდება ინტერესი იაპონური ჯიუ-ჯიცუს მიმართ. 1905 წელს რუსეთში გამოქვეყნდა ინგლისურიდან თარგმნილი 120-გვერდიანი წიგნი (გამოაქვეყნა ივან სიტინმა), როგორც ფიზიკური აღზრდის სისტემა, საკმაოდ გრძელი სათაურით: „ფიზიკური აღზრდა იაპონიაში. ვარჯიშების, დიეტისა და, საერთოდ, ცხოვრების წესის სისტემა, რომელმაც ამქვეყნად ეს ერი ყველაზე ჯანმრთელი, ძლიერი და სიცოცხლით სავსე გახადა“.

1907-1917 წლების პრესაში ხშირად ქვეყნდებოდა მასალები ჯიუ-ჯიცუზე. ამ სახეობის ილეთებს ყურადღება რუსეთის პოლიციამაც მიაქცია. 2017 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მსგავსი წერილების ბეჭდვა და ამ სახეობის განვითარება შეწყდა. სამაგიეროდ, მალევე იწყება პროპაგანდა ძიუდოსი, რომელსაც ვასილი ოშჩეპკოვმა საფუძველი ჯერ კიდევ 1914 წელს ვლადივოსტოკში ჩაუყარა.

იგი 1907 წლიდან ჯერ იაპონური კიოტოს მართლმადიდებლურ სემინარიაში, მერე კი ტოკიოში ძიგორო კანოს კოდოკანის სკოლაში სწავლობდა. მაშინდელი იაპონური გაზეთი წერდა, რომ ოშჩეპკოვი პირველი რუსი და მეოთხე უცხოელია, რომელმაც პირველი დანი დაიმსახურა. შავი ქამარი მისთვის თვით კანოს შემოურტყამს.

რუსეთში დაბრუნების შემდეგ დაუწყია ოშჩეპკოვს ძიუდოს ფართო პროპაგანდა, სექციების გახსნა. 1928 წელს ძიუდოს სასპორტო და საბრძოლო კომპლექსის ილეთები მუშურ-გლეხური წითელი არმიის (РККА) პირველი საკავშირო სპარტაკიადის საჩვენებელ ნაწილში შეუტანიათ.

1930 წელს ჟურნალი **«Физкультура и спорт»**-ი წერდა, რომ მუშურ-გლეხური წითელი არმიის ფიზიკური მომზადების ინსპექტორის – ბორის კალპუსის განკარგულებით ოშჩეპკოვს მოსკოვში ძიუდოს პოპულარიზაცია დაევალა. წითელი არმიის ცენტრალური სახლის სასპორტო განყოფილების ბაზაზე ჩამოყალიბებულ სექციასთან მოსკოვის გარნიზონის ნაწილებისა და სასწავლო დაწესებულებების სექციებში დამწყებ სპორტსმენებთან სამუშაოდ ინსტრუქტორთა მომზადების ორთვიანი კურსები მოეწყო.

1931 წელს, ხელმძღვანელობისა და სტუდენტთა აქტივის მოწვევით, ოშჩეპკოვმა ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ცენტრალურ ინსტიტუტში ძიუდოზე მოხსენება წაიკითხა, ილაპარაკა მის ორ – სასპორტოსა და გამოყენებით ნაწილზე. მოხსენებამ ისეთი ზემოქმედება მოახდინა, რომ ინსტიტუტის საერთო კრებაზევე გამოითქვა აზრი, ფიზკულტურის ინსტიტუტებისა და ტექნიკუმების სტუდენტთა სასწავლო პროგრამაში ჭიდაობა ძიუდო შეეტანათ.

1931 წელს საბჭოთა კავშირში შემოიღეს ფიზკულტურული კომპლექსი (**ГТО**) – მშთ (მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის). ოშჩეპკოვისთვის მე-2 საფეხურის თავდაცვისა და განიარაღების ილეთების დამუშავება დაუვალებიათ, რომელიც 1933 წლის იანვრიდან შესულა ძალაში. ამ ილეთებს დაუფლებიან ცნობილი მხედართმთავრები – მიხაილ ტუხაჩევსკი, იონა იაკირი და სხვები.


ა-კავკასიაში ერთად ერთია ჯიუდოს სექცია, რომელშიაც საუკეთესო შედეგებს მიაღწია ამხ. ამხ. საბაშვილმა, ირაკლი ჩხეიძემ, ბეცაშვილმა და სხვ..

ტექნიკუმთან არსებობს შემდეგი სექციები: ტანვარჯიშობის, მძლეოსნობის, სპორტთამაშობათა, ძიუ-დო, ფარიკაობის, სასროლო სპორტის, ქართული ჭიდაობის და ძალოსნობის სექცია.

ძიუდოს განვითარების მოკლე ისტორია და ხელჩართული ბრძოლის სისტემა შესულა ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ცენტრალური ინსტიტუტის 1932-1933 წლების სასწავლო გეგმაში. 1932 წელს ინსტიტუტის ღია პირველობა გამართულა სტუდენტებს შორის გოგონების მონაწილეობით. იმავე წელს ოშჩეპკოვს სასწავლო ფილმიც გადაუღია სასპორტო ორთაბრძოლისა და თავდაცვის პროპაგანდის მიზნით.

1933 წლის მაისში ძიუდო უმაღლესი სასწავლებლების სპარტაკიადის პროგრამაში ჩაურთავთ. ეს იყო საბჭოთა კავშირში ძიუდოისტთა პირველი საკავშირო შეჯიბრება მამაკაცების 6 და ქალების 2 წონით კატეგორიაში. ტურნირში 33 სპორტსმენი მონაწილეობდა, მათ შორის – 5 ქალი.

## „რბილი გზა“ საქართველოში

**მაშინდელი საბჭოთა პრესის ცნობით, 1933-1934 წლებში ძიუდოს სექციები გაუხსნიათ ლენინგრადში, სარატოვში, ხარკოვში, კიევში, როსტოვში, ბაქოში, თბილისსა და სხვა ქალაქებში. ამ პერიოდში ჩვენთან ძიუდოს დანერგვა-გავრცელების დასტურად ჩემ მიერ მიკვლეულ რამდენიმე ფაქტს შემოგთავაზებთ:**

**1935 წლის 22 მარტს** გაზეთ „ლელოს“ წინამორბედ **„საქართველოს ფიზკულტურელის“ [N9 (36)]** მე-4 გვერდზე დაიბეჭდა მ. ბაჯელიძის ინფორმაცია სათაურით: „საღამო ფიზკულტურის ტექნიკუმში“: „23 თებერვალს მოეწყო ფიზკულტურის ტექნიკუმის არსებობის ერთი წლის თავის აღსანიშნავი საღამო...

დასასრულს ტექნიკუმმა მოაწყო სტუდენტების ფიზიკური ვარჯიშების სხვა და სხვა სახეების ჩვენება: თავისუფალი ვარჯიში იარაღებზე, ფარიკაობა, ქართული, ფრანგული, **იაპონური ჭიდაობა (ჯილდო),** მასობრივი თამაშობანი და სხვა“ [3]...

ცხადია, აქ იაპონურ ჭიდაობაში **ძიუდო** იგულისხმება. **ჯილდო,** უბრალოდ, ავტორის ან რედაქციის ტექნიკური, შესაძლოა, ამ ტერმინის უვიცობით გამოწვეული შეცდომაა.

**1935 წლის 1 ივლისს ამავე გაზეთის (N19)** მე-2 გვერდზე გამოქვეყნდა სტატია („ოსტატების პირველი გამოშვების ზეიმი“) ლავრენტი ბერიას სახელობის ტფილისის ფიზკულტურის ტექნიკუმის პირველი გამოშვების (1934-1935) შესახებ, რომელშიც ვკითხულობთ: „ტექნიკუმთან არსებობს შემდეგი სექციები: ტანვარჯიშობის, მძლეოსნობის, სპორტთამაშობათა, **ძიუ-დო,** ფარიკაობის, სასროლო სპორტის, ქართული ჭიდაობის და ძალოსნობის სექცია...

ა.კავკასიაში ერთად ერთია **ჯიუ-დოს სექცია,** რომელშიც საუკეთესო შედეგებს მიაღწია ამხ. ამხ. **საბაშვილმა, ირაკლი ჩხეიძემ, ბეციაშვილმა** და სხვ... (სამწუხაროდ, შედეგებზე არაფერია ნათქვამი – **ვ.დ.**).

სპორტთამაშობათა სექციაში განსაკუთრებით აღსანიშნავია **რეგბის (ამერიკული ფეხბურთი) 2 გუნდის ჩამოყალიბება“** [4].

**1936 წლის 18 მარტს** „ლელოს“ წინამორბედ გაზეთ **„ფიზკულტურელში“ [N13 (79)]** გამოქვეყნდა სტატია სათაურით – **„ძიუ-დო“,** რომელშიც დეტალურად არის აღწერილი ძიუდოს ჭიდაობის წესები [5].

ამავე გაზეთის **1936 წლის 24 ივნისის ნომრის [N29 (35)]** მე-2 გვერდზე დაბეჭდილია ფოტო, რომელზეც ფიზკულტურის ტექნიკუმის სტუდენტების - **მაჭავარიანისა** და **მოლაშვილის** „ძიუ-დოში“ ვარჯიშის მომენტია აღბეჭდილი [6].

**ვფიქრობთ, ზემოაღნიშნული ინფორმაციები საკმარისია საიმისოდ, რომ ვთქვათ, ძიუდო (ასევე, რაგბი) საქართველოში სათავეს 1930-იანი წლების დასაწყისიდან იღებს და არა 50-იანი წლების მიწურულიდან, როგორც ეს დღემდეა მიღებული. მით უმეტეს, რომ 1935-1936 წლებში ძიუდოს სექციაში მომეცადინე პირველი 5 ფალავნის გვარი უკვე ცნობილია და მათზე ცნობების მოძიებას განვაგრძობთ.**

ვაჟა დანელია,
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.

(მომდევნო ნომერში იხილეთ „კალათბურთელი ტატამზე“)

# ქართული ფეხბურთის დამოუკიდებლობის პირველი დღეები

**საქართველოს პარლამენტის საჯარო ბიბლიოთეკაში ზურაბ პეტრიაშვილის წიგნის, „სა-ქარ-თვე-ლო, სა-ქარ-თვე-ლო! მუშტად შეკრული ნების“ პრეზენტაცია გაიმართა.**

ზურაბ პეტრიაშვილი 1990 წლის 15 თებერვალს თბილისის ჭადრაკის სასახლეში გამართული საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ისტორიული დამფუძნებელი ყრილობის ერთ-ერთი ინიციატორი იყო, რომლის შედეგადაც ქართული ფეხბურთი საბჭოთა ფედერაციას გამოეყო.

წიგნში მოთხრობილია, როგორ მოვიპოვეთ საფეხბურთო დამოუკიდებლობა და ამას წინ რა ბრძოლები უძღოდა. წიგნს ერთვის DVD დისკი. მასზე მაყურებელი ნახავს 1990 წლის 15 თებერვლის საფეხბურთო ყრილობას, რომელზეც დამოუკიდებლობა იქნა გამოცხადებული და ასევე პირველი ეროვნული ჩემპიონატის გახსნის მატჩს თბილისის „იბერიასა“ (იგივე „დინამოს“) და ფოთის „კოლხეთს“ შორის. ეს არ არის წიგნი ყრილობის ქრონოლოგიაზე, არამედ გულშემატკივარი ბევრ საინტერესო და აქამდე უცნობ ამბავს შეიტყობს, თუ რა ბრძოლები მიმდინარეობდა ქართული ფეხბურთის დამოუკიდებლობისთვის, ვინ და როგორ ცდილობდა ხელის შეშლას და ასე შემდეგ.





# ოქროებს ეთამაშება

**რაც უფრო იკრებს ძალებს ახალი სპორტული სეზონი, მით უფრო კრეფს ოპტიმალურ კონდიციებს ქართველ მოფარიკავეთა ყოჩი სანდრო ბაზაძე, რომელმაც ამჯერად უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში გამართულ მსოფლიოს თასის გათამაშებაში შეაბიჯა საპატიო კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე.**

აღსანიშნავია, რომ ორ ოლიმპიადაზე მსაჯთაგან დაჩაგრულმა ჯვაროსანმა მეოთხედფინალში რეიტინგის კორეელი ლიდერი და პრინციპული მეტოქე სანგუკი დაამარცხა – 15:12, მაგრამ ნახევარფინალში ასეთივე შედეგით დათმო ბრძოლა გერმანელ მათიას საბოსთან.

# ლიცენზიათა კოლექცია

**სხვა შემთხვევაში ასეთ შედეგს ტრიუმფად შევაფასებდით, მაგრამ ახლა, როცა დრონი იცვალნენ და ჩვენმა ფიგურისტებმა წარმატებებს მიგვაჩვიეს, ამერიკული ბოსტონიდან ქართული დელეგაციის უმედლოდ დაბრუნება ძნელია მიღწევად ჩაითვალოს.**



სამაგიეროდ, მსოფლიოს ჩემპიონატზე ოთხიდან სამ ნომინაციაში ოლიმპიური ლიცენზია მოვიპოვეთ და გაისად ხუთრგოლიან იტალიაში (მილანი, კორტინა დამპეცო) აქამდე დაუპყრობელ სიმაღლეს შევუტევთ.

დიახ, სრულიად საფუძვლიანი ამბიცია გაგვაჩნია, რომ მომავალს ოპტიმიზმით შევყურებდეთ, ახლა კი თეთრი ფორუმის საგზურის მფლობელებს გაგაცნობთ:

**წყვილები** – ანასტასია მეტელკინა, ლუკა ბერულავა (მე-4 ადგილი).

**კაცები** – ნიკა ეგაძე (მე-9 ადგილი).

**სპორტული წყვილები** – დიანა დევისი, გლებ სმოლკინი (მე-10 ადგილი).

დავძენთ, რომ აპენინებზე სრიალის შანსს ევროპის ყოფილი ჩემპიონი **ანასტასია გუბანოვაც** ინარჩუნებს, რომელიც ამჯერად გაუთვალისწინებლად სუსტად გამოვიდა.

# ფრანგულ ტიტულთან

**ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალამდე პარი სენ-ჟერმენი განაგრძობს ტრიუმფალურ სვლას მე-13 ფრანგული ტიტულისკენ და, უდიდესი ალბათობით, მიზანს ფინიშამდე 6 ტურით ადრე 5 აპრილს მიაღწევს, როცა ანჟერს უმასპინძლებს.**




**ლუის ენრიკეს** გუნდი ერთადერთია ტოპ-5 ქვეყნებში, რომელიც მარათონულ ტურნირში ისევ დაუმარცხებელია, მორიგი გასეირნება კი ერთ-ერთ აუტსაიდერ სენტ-ეტიენთან სტუმრად მთელ რიგ ლიდერთა (დემბელე, დონარუმა, ვიტინია, მარკინიოსი, მენდეში) გარეშე მოიწყო – 6:1 (1:1).

აღსანიშნავია, რომ ამ მატჩის ქართულ დერბიში **ხვიჩა კვარაცხელიამ** თავი გადამწყვეტი – მეორე გატანილი ბურთით ისახელა (სეზონში – მესამე), ხოლო მასპინძელმა **ზურიკო დავითაშვილმა** – საგოლე გადაცემით, როცა ანგარიში გახსნა.

**ლიდერთა ჯგუფი:** პსჟ – 71, მონაკო – 50, მარსელი – 49 ქულა. ასე რომ, 1 ქულაც და კვარა იტალიურ სკუდეტოს ლიგა – 1-ის ოქროსაც მიუმატებს.

რაც შეეხება **გიორგი მიქაუტაძეს,** მისი შედეგიანი სერია ლიონის მიერ სტრასბურგში 2:4 წაგებულ შეხვედრაში პენალტით გაგრძელდა, დანარჩენ ლეგიონერთაგან კი ზუსტი დარტყმებით იყოჩაღეს **გიორგი გულიაშვილმა** ბოსნიაში (დუბლი), **ანრი მექვაბიშვილმა** რუმინეთში, **ოთარ კაკაბაძემ** პოლონეთში და **ლაშა ოდიშარიამ** ლატვიაში.

აქვე ერთი საინტერესო ინფორმაციაც ქართველ გულშემატკივართათვის, უფრო კონკრეტულად კი ბარსელონას ქომაგთათვის: შეგახსენებთ, რომ 10 წლის წინათ კატალონიურმა გრანდმა თბილისში სევილიას ძლევით – 5:4 ევროპის სუპერთასი შემატა თავის უმდიდრეს კოლექციას, ხოლო ამ დღეებში რუსთაველზე ბლაუგრანას მაღაზია გაიხსნა დაახლოებით 8-ათასიანი ატრიბუტიკით (შარფები, სამკერდე ნიშნები, მაისურები და სხვა მრავალი). მოკლედ, ეწვიეთ აღნიშნულ სპორტულ მუზეუმს!



მარცხნიდან მარჯვნივ: მანანა ჩიხლაძე, იუნ სეოკ ჩანგი (სეული, სამხრეთ კორეა), იგნასიო ანსოტეგუი (ბილბაო, ესპანეთი), პოლ ვ. უილიამსი (ვაშინგტონი, აშშ), ბრაიან ლ. მარტინი (ოჰაიო, აშშ), ჯიმ ლ. სუბლეტი (ლუისვილი, კენტუკი, აშშ) და მარიო მორაის ალმეიდა (პორტუგალია, მსოფლიო ალერგიის ორგანიზაციის პრეზიდენტი).

**2025 წლის 28 თებერვლიდან 3 მარტამდე, სან დიეგოში (აშშ) ჩატარდა ამერიკის ალერგიის, ასთმისა და იმუნოლოგიის აკადემიისა და ალერგიის მსოფლიო ორგანიზაციების AAAAI/WAO ერთობლივი კონგრესი 6000-ზე მეტი მონაწილით.**



# ქართველ მედიკოსთა წარმატება

## საერთაშორისო კონგრესებზე — საინტერესო მოხსენებებით

საქართველოდან კონგრესის მუშაობაში მონაწილეობდნენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, იმუნოლოგიის კათედრის გამგე თინა ჩიქოვანი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, იმუნოლოგი, განათლების საერთაშორისო ცენტრის დირექტორი ნუნუ მიცკევიჩი, ქუთაისის აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერიტეტის პროფესორი, ალერგიის მსოფლიო ორგანიზაციის დირექტორთა საბჭოს წევრი, ალერგოლოგიის, ასთმისა და კლინიკური იმუნოლოგიის ევროპული სამედიცინო ცენტრის დირექტორის მოადგილე, წყალტუბოს საპატიო მოქალაქე მანანა ჩიხლაძე.

ქალბატონი მანანა აუდიტორიის წინაშე წარდგა მოხსენებით „ალერგიული დაავადებების საერთაშორისო კლასიფიკაცია: ICD10-დან ICD-11კენ, ცვლილებები და გამოწვევები“. მან დაასრულა თავისი ოთხწლიანი უფლებამოსილება საერთაშორროსო ორგანიზაციაში, დაჯილდოვდა წარმატებული მოღვაწეობისთვის სპეციალური ჯილდოთი და ფულადი პრემიით).

— საოცარი სიამაყის განცდა გეუფლება, როცა შენს გვერდით მდგომი კოლეგის გვარს აცხადებენ და მის პროფესიულ ღვაწლს უმაღლესი ჯილდოთი აღნიშნავენ!

...და როცა ეს ხდება ცხრა ზღვასა და ცხრა მთას იქით, უმაღლესი რანგის საერთაშორისო ფორუმზე – ამერიკის ალერგოლოგიისა და იმუნოლოგიის აკადემიის და მსოფლიო ალერგოლოგიის ორგანიზაციის ერთობლივ კონგრესზე, და თან როცა ეს კოლეგა შენი მეგობარია, კიდევ უფრო გიმძაფრდება სიამაყის განცდა.

**„გილოცავ, მანანა, შენი ოთხწლიანი საერთაშორისო მოღვაწეობის ასეთ დაფასებას და წარმატებას ვუსურვებ თინათინ ჩიქოვანს მომდევნო ოთხი წლით მსოფლიო ალერგოლოგიის ორგანიზაციის გამგეობაში საქართველოს იმუნოლოგია-ალერგოლოგიის ასოციაციის წარმომადგენლობას“**, – წერს სოციალურ ქსელში კონგრესის მონაწილე, პროფესორი ნუნუ მიცკევიჩი.

**ჩვენც გულითადად ვულოცავთ ქალბატონ მანანას ამ წარმატებას, კვლავაც მრავალი საერთაშორისო ჯილდო დაემსახურებინოს.**

**მურთაზ კანკაძე,**
**გაზეთ „ახალი წყალტუბოს“ რედაქტორი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი**

# სტალინის ჩაი — რას მიირთმევდა საბჭოთა ლიდერი ძილის წინ?



**ოდესმე დაფიქრებულხართ, როგორ მოახერხა იოსებ სტალინმა, გამკლავებოდა ცხოვრების ბიჭურ ტემპს და სიფხიზლე შეენარჩუნებინა ღამის შეხვედრებისა და სტრესული დღეების მიუხედავად? ისტორიკოსები ამტკიცებენ, რომ მას ძილის წინ სპეციალური რიტუალი ჰქონდა, რომელიც ეხმარებოდა, სწრაფად დაეძინა და რამდენიმე საათში მშვიდად სძინებოდა. ამბობენ, რომ სვამდა სპეციალურ ჩაის, რომელიც ნერვულ სისტემას ამშვიდებდა და ენერგიით ავსებდა მთელი დღის განმავლობაში. რა არის ეს სასმელი და რატომ ღირს მისი გასინჯვა დღესაც?**

### სტალინის საყვარელი ჩაი, რომელიც ამშვიდებს

**საუბარია მონარდასგან დამზადებულ ჩაიზე, რომელიც ცნობილია თავისი სასარგებლო თვისებებით. ხალხი მას „ბერგამოტს“ უწოდებს თავისი უჩვეულო არომატით პიტნის, ციტრუსის და მსუბუქი სანელებლების ნოტებით. ეს ჩაი არა მხოლოდ გემრიელია, არამედ აქვს მრავალი სასარგებლო ეფექტი:**

ეხმარება გაუმკლავდეს სტრესს და შფოთვას. მონარდა შეიცავს ბუნებრივ კომპონენტებს, რომლებიც ხელს უწყობენ მოდუნებას და ძილის ნორმალიზებას.

აუმჯობესებს საჭმლის მონელებას. კუჭის პრობლემები ხშირად გვიშლის ხელს დაძინებაში და ეს სასმელი პრობლემას ნაზად და ბუნებრივად აგვარებს.

მდიდარია ანტიოქსიდანტებით. ისინი ეხმარებიან ორგანიზმს გაუმკლავდეს ანთებას, გააძლიეროს იმუნური სისტემა და შეანელოს დაბერების პროცესიც კი.

მას აქვს ანტისეპტიკური თვისებები. მონარდას ჩაის ხალხურ მედიცინაში იყენებენ გაციებისა და ინფექციების წინააღმდეგ საბრძოლველად.

აძლიერებს გულ-სისხლძარღვთა სისტემას. ზოგიერთი გამოკვლევა აჩვენებს, რომ ამ ჩაის რეგულარულმა მოხმარებამ შეიძლება დადებითი გავლენა მოახდინოს არტერიულ წნევასა და გულის მუშაობაზე.

### როგორ მოვამზადოთ მონარდას ჩაი?!

**მაქსიმალური სარგებელი და მდიდარი გემო რომ მიიღოთ, საჭიროა მონარდას ჩაის სწორად მოხარშვა. ამისათვის შესაფერისია ახალი ან გამხმარი ფოთლები და ყვავილები.**

200 მლ წყლისთვის საკმარისია 1-2 ჩაის კოვზი დაქუცმაცებული ფოთოლი. მათ ასხამენ მდუღარე წყალს და აჩერებენ 5-7 წუთის განმავლობაში. თუ უფრო მდიდარი გემო გსურთ, შეგიძლიათ ცოტა ხანს დატოვოთ, მაგრამ არ გადააჭარბოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაი ძალიან მჟავე გახდება. გემოს გასაუმჯობესებლად კარგია თაფლის, ლიმონის ან პიტნის ფოთლების დამატება. ამ სასმელის დალევა განსაკუთრებით სასარგებლოა ძილის წინ.

### მართალია, რომ სტალინი ამ ჩაის სვამდა?

**არ არსებობს ზუსტი ისტორიული მტკიცებულება იმისა, რომ სტალინი რეალურად რეგულარულად სვამდა მონარდას, მაგრამ ხალხური ლეგენდები აქტიურად გადასცემენ ამ ფაქტს თაობიდან თაობას.**

**ერთი რამ ცხადია: წარსულში ადამიანები ბევრად უფრო ხშირად იყენებდნენ ბუნებრივ საშუალებებს ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად.**

მონარდას ჩაი შეიძლება იყოს კარგი ალტერნატივა თანამედროვე საძილე აბებისა და ანტიდეპრესანტებისთვის, განსაკუთრებით მათთვის, ვინც უპირატესობას ანიჭებს ბუნებრივ სამკურნალო მეთოდებს. მისი სარგებელი დასტურდება არა მხოლოდ პოპულარული შეხედულებებით, არამედ თანამედროვე კვლევებითაც. სცადეთ ამ სასმელის ჩართვა თქვენს საღამოს რიტუალში და ნახეთ, როგორ მოქმედებს ის თქვენს ძილსა და მთლიან კეთილდღეობაზე.

# ბარი მარშალი – მეცნიერი, რომელმაც ექსპერიმენტისთვის საკუთარი სხეული გაწირა

**ბარი მარშალი ერთ-ერთი იმ მეცნიერთაგანია, რომელმაც სამედიცინო სამყარო თავდაყირა დააყენა. იმის დასამტკიცებლად, რომ კუჭის წყლულს ბაქტერია იწვევს და არა სტრესი ან ცხარე საკვები, მან უჩვეულო გადაწყვეტილება მიიღო – ექსპერიმენტისთვის საკუთარი სხეული გაწირა.**

1980-იან წლებში ექიმები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ კუჭის წყლულის მთავარი გამომწვევი სტრესი, ცუდი კვება და მაღალი მჟავიანობა გახლდათ. ავსტრალიელი ექიმი ბარი მარშალი და მისი კოლეგა რობინ უორენი ეჭვობდნენ, რომ ეს ასე სულაც არ იყო.

მათ აღმოაჩინეს ბაქტერია **Helicobacter pylori**, რომელიც ,ხშირ შემთხვევაში, კუჭის ლორწოვანში ბუდობდა. მარშალი დარწმუნებული იყო, რომ სწორედ ეს ბაქტერია იწვევდა წყლულს, მაგრამ სამედიცინო საზოგადოება მხარს არ უჭერდა. შესაბამისად, საჭირო იყო მტკიცებულება, ადამიანზე ჩატარებული ექსპერიმენტი, რომელიც მოსაზრებას დაადასტურებდა და ყველაფერს შეცვლიდა.

იმის გამო, რომ კლინიკური კვლევებისთვის საჭირო დრო და რესურსები არ ჰქონდა, მარშალმა, მეცნიერების სასარგებლოდ, საკუთარი სხეული გაწირა. 1984 წელს მან ლაბორატორიაში გამოზრდილი **H. pylori**-ის ბაქტერია, უბრალოდ, დალია.

მეცნიერს მალევე დაეწყო ძლიერი გულისრევა, მუცლის ტკივილი და სერიოზული კუჭის პრობლემები. 10 დღეში მისმა კუჭმა წყლულის განვითარება დაიწყო – ზუსტად ისე, როგორც მან იწინასწარმეტყველა.

ცდამ საბოლოოდ დაადასტურა, რომ **H. pylori** იყო კუჭის წყლულის მთავარი მიზეზი. მარშალმა და უორენმა, ასევე, აღმოაჩინეს, რომ დაავადება მარტივად განიკურნებოდა ანტიბიოტიკებით და არა წლობით დიეტისა და მჟავის საწინააღმდეგო პრეპარატებით.

მათმა აღმოჩენამ სამუდამოდ შეცვალა მედიცინა – წლების განმავლობაში, კუჭის ოპერაციები და მკაცრი დიეტები იყო ერთადერთი გამოსავალი, მაგრამ შემდგომ წყლულის მკურნალობა შედარებით მარტივი გახდა.

მრავალი წინააღმდეგობის შემდეგ, 2005 წელს ბარი მარშალმა და რობინ უორენმა ნობელის პრემია მიიღეს მედიცინის დარგში. ეს იყო აღიარება იმ სიმამაცისთვის, რომ მარშალმა მედიცინისთვის საკუთარი ჯანმრთელობა გაწირა. დღეს, მისი აღმოჩენის წყალობით, მილიონობით ადამიანი იღებს სწორ და ეფექტურ მკურნალობას კუჭის წყლულზე.



# მტრის ჯიბრზე...



ნაძალადევში მონაზერ ქარს
ყვავილების ნამქერი მოაქვს,
ღია სარკმლიდან ზეზერ ნუშს ვხედავ,
აწ გადაკაფულს,
ჩემთვის ეს დღე
1968 წლის მარტის თვეს მოჰგავს,
ნაღდი პოეტის – შოთა ჩანტლაძის
თვალით დანახულს!
უცნაური ამინდია,
თავგამეტებით კვირტებს ზედ ათოვს,
ერთმანეთში არეულა – ფიფქი, ყვავილი,
ცივი ზამთარი გაზაფხულის
წატაცვას ლამობს,
ამ საოცრებას ვერას უშველი -
თუნდაც ატირდი!
ვისხედით ხუთნი: „ოჭკომალი“,
ჩანტლაძე შოთა, ჯარჯი ფხოველი,
მე და ზვიადი,
ზე, გორაკიდან გავცქეროდით
იქით ზედაზენს, აქეთ კიდევ
ელვარე თბილისს,
ხიმშურ ძველშავს მივირთმევდით
თიხის ფიალით,
და წუთი-წუთზე მოველოდით
ნაღვარეველ თედო ბექიშვილს!
უხმოდ ვუსმენდით უფროს ძმობილებს
ჩვენ – უმცროსები,
მათგან ვსწავლობდით სისხლით შეღებილ
საბჭოეთთან არ დარიდებას,
რაღა თქმა უნდა, იმ ეპოქაში
ბრძანდებოდნენ უკვე გმირები,
უტეხი სულით აქვიტკირებდნენ
საქართველოს თავისუფლებას
და გაზრწყინებას!
ზვიად ჩემო,
რას არ გაიგებ ცოცხალი კაცი,
სანამ აქა ხარ,
შენს სახელს ხშირად იხსენიებენ
გუშინ მგმობელნი!
გერბი, ჰიმნი, ქართული დროშა,
ვინაც შეცვალა გუშინ ამაყად,
გაქებს, გადიდებს, მაწყევარი,
ტყვიის მსროლელიც!
შურთ ქონდრისკაცებს ბედი შენი
სიკვდილს შემდგომი,
მთაწმინდისაკენ აღმოუპყრიათ
ავგულიანი, სისხლა თვალები,
მომეხსენება – შორ წარსულში
ვინ ბრძანდებოდა მათი ზემდგომი
და იმედი აქვთ, შენთან ახლოს
მიწის მოზომვის – დასაფლავების!
ეროვნულობას ჩემულობენ,
ჩუმად თუ ცხადლივ ვინაც გეომა,
შემოგარქვა დიქტატორი, უზურპატორი!
ვიცი მავანმა შადიმანობა გაიმეორა,
თითქოს ქვეყანას ამოუწყდაო
კაცი, პატრონი!
შენ მიერ ჩადგმულ მრგვალ მაგიდასთან
სხედან განდაგან:
გადაცმულები, გადაუცმელნი,
უპარტიო პარტიულები,
ამ ზეც ჯამაათს ახსენდები
მხოლოდ ხანდახან
და სამუდამოდ გაჰყინვიათ
მკერდში გულები!
ყვავილთა სროლა ტყვიის მაგიერ,
დაგამადლეს ფარისევლებმა,
კავკასის მტრებმა დაიკაპიწეს
მარჯვედ ხელები,
არვინ ვიცოდით, ირგვლივ თურმე
რამდენი იყო ჭრელი გველგესლა
და გიურზებით მოფენილი
მინდორ-ველები!

* * *

ახლა სხვა დროა,
საუკუნემ საუკუნე გამოიცვალა,
თუმც კი მარტია,
სულ ახლოა ოცდათერთმეტი...
ძველი ნუშის ხე,
რომელთანაც სუფრა გვედგა–
ჯირკად ქცეულა,
დუმილით ჯავრობს –
„ხომ არ ვგონივარ ვინმეს ზედმეტი“?
ვინც გავიხსენე, ერთის გარდა –
სამწუხაროდ გარდაცვლილია,
სულთქმა მათი ჩემი ქვეყნის
გზა და ხიდია სამარადისო,
ნათლად ვხედავ: მარტის ქარში,
ჭიქით ხელში აქ დგას ზვიადი
და განადიდებს დედოფალ ნანას,
მეფე მირიანს, უწმინდეს ნინოს!
მტრის ჯიბრზე –
დაბადებას მოგილოცავ მამულიშვილო,
ეჰ, მერამდენედ გადაყვავილდნენ
უკვე ნუშები,
უბედურება საქართველოს ვინაც მოუწყო,
„მოჰკითხე ღმერთო! ღმერთო მოჰკითხე“,
(ასე იტყოდა ამას მუხრანი)!
ნაზამთრალმა სიმწუხარემ
ძველებურად შეიფრთხიალა,
დღემა მარტისამ კვლავ გადაკვირტა
სიხარული – ყოფის წადილი,
თოვლის ფანტელს
მივამსგავსე
ზვიად, კინაღამ,
შენს მოსასხამზე
მონამქრული
ჭერმის ყვავილი!



**ჯემალ დავლიანიძე**

2025წ. 22 მარტი

## არდავიწყება

# ბუძა



ის ნაღდი თბილისელი იყო, ნიკალას „შთამომავალი“... კაცი, რომელმაც უკან დახევა არ იცოდა ოჯახის, მეგობრისა და ახლობლის გულისთვის.

ყველას გაჭირვება გულთან მიჰქონდა, ყველას ბედნიერებით ხარობდა.

შესანიშნავი მხატვარი იყო ბუძა, ფერმწერი, რომელიც თავის შემოქმედებას ყველას უზიარებდა, არ მეგულება კაცი, ვინც მას იცნობდა და ოჯახში მისი ტილო არ ჰქონდეს. ჩვენი რედაქციის ხშირი სტუმარი იყო, ამიტომაც ჩასწყდა გული ყველას, ვინც მისი გარდაცვალება გაიგო.

მიუვა თავის ძმას, შესანიშნავ მხატვარს თემურ („ბულდოგა“) ცხოვრებაშვილს, მშობლებს, საყვარელ ხალხს ზეციურ საქართველოში. მარტო ბუძასნაირ ადამიანებს შეეძლოთ დედის საფლავზე მიეწერა ერთადერთი სიტყვა „დედა“. ამით ყველაფერი ნათქვამიაო – ამბობდა. ამიტომაც ჩვენც მოკლედ ვწერთ – „ბუძა“.

ვუსამძიმრებთ მეუღლეს ლიზას, შვილებსა და შვილიშვილებს, მათით ხარობდა, მათთვის ცხოვრობდა.

მშვიდობით ბუძა, **ნუგზარ ცხოვრებაშვილო**, ალალო, მართალო და ერთგულო ადამიანო!

„საქართველოს რესპუბლიკის“
თანამშრომლები.

# დედა ნახე, მამა ნახე...



ქართული პრესის ერთგული მკითხველი ვარ, მყავს ჩემთვის გამორჩეული ჟურნალისტები, მაგრამ მათ შორის ერთ-ერთი საუკეთესო გახლავთ პუბლიცისტური სიმახვილით გამორჩეული გელა ზედელაშვილი. მის გამო ვკითხულობდი და ვკითხულობ იმ გაზეთებს, სადაც მისი სტატიები იბეჭდება.

წლევანდელ ზამთარს შვილმა საფრანგეთში წამიყვანა. ახლახან დავბრუნდი თბილისში და სამწუხარო ინფორმაცია შევიტყვე: ჩემი საყვარელი ჟურნალისტის გელა ზედელაშვილის დედა

# ზეინაბ ნატროშვილი-ზედელაშვილი

გარდაცვლილა.

არ ვიცნობდი და არ ვიცი, ეს ქალბატონი რამდენი წლის იყო, მაგრამ ასეთი შვილის გამზრდელი დედა 100 წელზე მეტხანს უნდა ცოცხლობდეს ამ დაუნდობელ წუთისოფელში!

მალე, ალბათ, 40 დღეც გაივლის ამ პატივსაცემი ქალბატონის გარდაცვალებიდან.

ნათელი დაადგეს შენს სულს ღირსეულო ქალბატონო ზეინაბ, მშვიდად იძინე, რადგან ვალი მოხდილი გაქვს სამშობლოს წინაშე, მადლობა ასეთი შვილის გაზრდისთვის.

**ანგელინა ზაქარაშვილი**

## უბედური შემთხვევა თბილისში

**თბილისში, პოლიტკოვსკაიას ქუჩაზე, მსუბუქი ავტომობილი დაიწვა. ცეცხლი ერთი ავტომობილიდან მეორესაც გადაედო.**

ადგილზე სამართალდამცველები და მეხანძრე-მაშველები იყვნენ მობილიზებულნი. როგორც საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში განაცხადეს, მეხანძრე-მაშველებმა ცეცხლის ლიკვიდაცია მალევე შეძლეს. შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

## ვარკეთილში ხანძრის შედეგად ერთი ადამიანი დაიღუპა

**თბილისში, ვარკეთილის მესამე მიკრორაიონის ერთ-ერთ საცხოვრებელ კორპუსში ხანძრის შედეგად ერთი ადამიანი დაიღუპა.**

ხანძრის გამომწვევი მიზეზი ამ დროისთვის უცნობია. როგორც საქართველოს პირველ არხს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში განუცხადეს, ხანძარი დროულად ჩააქრეს.

## ინტერპოლის წითელი ცირკულარით ძებნილი თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე დააკავეს

**შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად არაერთი მძიმე დანაშაულისთვის ინტერპოლის წითელი ცირკულარით ძებნილი თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე, 1990 წელს დაბადებული თ.ე. დააკავეს.**

შსს-ს ინფორმაციით, დაკავებული თ.ე. თურქეთის რესპუბლიკის მიერ მკვლელობის, მკვლელობის მცდელობის, ყაჩაღობის, იარაღის უკანონოდ ვაჭრობის, ძარცვისა და დანაშაულებრივი ორგანიზებული ჯგუფის წევრობის ბრალდებით იძებნებოდა.

ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა საქართველოს საზღვარი გადმოკვეთა ჯერ კიდევ მაშინ, სანამ მასზე საერთაშორისო ძებნა გამოცხადდებოდა. სამართალდამცველების მიერ ინტენსიურ რეჟიმში ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოხდა დამნაშავე პირის ადგილსამყოფლის დადგენა და მისი დაკავება.

## ავტოავარია მსხვერპლით დასრულდა

**ქუთაისის მიმდებარედ, აეროპორტის გზაზე, ავტომობილი ქვეითს დაეჯახა.**

ინფორმაციას ადგილობრივი მედიასაშუალება „ინფო იმერეთი“ ავრცელებს. როგორც გამოცემას თვითმხილველებმა განუცხადეს, ქვეითი შემთხვევიდან მალევე დაიღუპა. ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო პოლიციის ჯგუფები და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადები.

# ინდურ-ქართული კულტურის ფესტივალი აჰმადაბადში

**საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, ზუგდიდის, დმანისის, სამტრედიისა და ფოთის თეატრებმა მონაწილეობა მიიღეს ინდურ-ქართული კულტურის ფესტივალში, რომელიც გუჯარათის შტატის ქალაქ აჰმადაბადში, სვარნიმის უნივერსიტეტში გაიმართა.**




კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, ფესტივალზე ქართულმა თეატრებმა წარმოადგინეს ხუთი სპექტაკლი და ინდოელი მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურეს. ორდღიანი ფესტივალი ქართულ-ინდური ორგანიზაციის „კულტურული მრავალფეროვნება მშვიდობიანი მომავლისთვის“ ინიციატივით ჩატარდა. ორგანიზაცია 2020 წლიდან აქტიურად უწყობს ხელს ინდოეთში ქართული კულტურის პოპულარიზაციას. მისი მიზანია, ორ ქვეყანას შორის ხელოვნებისა და კულტურის სფეროებში არსებული კავშირების განმტკიცება და განვითარება.

ღონისძიებაზე, რომელსაც ესწრებოდნენ ადგილობრივი მერი, სვარნიმის უნივერსიტეტის პრეზიდენტი, საქართველოს კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები და ინდოელი სტუმრები, საზოგადოებას სიტყვით მიმართა და ქართული კულტურის შესახებ უამბო თეატრმცოდნე ნიკოლოზ წულუკიძემ.

ქართულ-ინდური ორგანიზაციის „კულტურული მრავალფეროვნება მშვიდობიანი მომავლისთვის“ თავმჯდომარე დარპან პრაშერმა ისაუბრა საქართველოსა და ინდოეთის კულტურულ მსგავსებაზე, ტრადიციებზე, ხელოვნების სფეროებში თანამშრომლობასა და ისტორიულ კავშირებზე. მან მადლობა გადაუხადა საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერისთვის.

# გაიხსნა «ფერის, სინათლისა და მედიტაციის ანარეკლი»

**ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმში თანამედროვე ებრაელი მხატვრის, კარინა ლუმიერის პერსონალური გამოფენა – „ფერის, სინათლისა და მედიტაციის ანარეკლი“ გაიხსნა.**

გამოფენის გახსნას საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილე გიორგი მირცხულავა, საქართველოში ისრაელის ელჩი ჰადას მეიცადი, საელჩოს წარმომადგენლები და სხვა მოწვეული სტუმრები დაესწრნენ.

მინისტრის მოადგილემ დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა და ქართულ-ებრაული მეგობრობის ისტორიასა და მნიშვნელობაზე ისაუბრა. ისრაელის გარდა, კარინა ლუმიერის გამოფენები 2020-2024 წლებში გაიმართა ესპანეთში (ბარსელონის ხელოვნების ბაზრობა), მონაკოში (მონაკოს ხელოვნების ბაზრობა), იტალიაში (ტურინის ებრაული მუზეუმი), გერმანიასა (მიუნხენის ხელოვნების ბაზრობა) და ავსტრიაში (ქალაქ დორნბირნის ხელოვნების ბაზრობა, „ბოდენის ტბის ხელოვნება“).

lifestyle holding-ის ორგანიზებით გამართული გამოფენა, რომლის კურატორია მარინა აბულაძე, 10 აპრილის ჩათვლით გასტანს.





# თბილისის სიმფონიური ორკესტრისა და პიანისტ დავით ალადაშვილის ერთობლივი კონცერტი გაიმართა

**ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში, მაესტრო რევაზ ჯავახიშვილის დირიჟორობით, თბილისის სიმფონიური ორკესტრისა და პიანისტ დავით ალადაშვილის ერთობლივი კონცერტი გაიმართა.**

კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, შესრულდა პეტრე ჩაიკოვსკის კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის N1 და იან სიბელიუსის სიმფონია N2. სიმფონიური მუსიკის კონცერტს საქართველოს კულტურის მინისტრი თინათინ რუხაძე და თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრის სამხატვრო ხელმძღვანელი ვახტანგ კახიძე დაესწრნენ.

# ქართველი რეჟისორის საჩუქარი ილია თოფურიას

**პროფესიონალ ქართველ მებრძოლს ილია თოფურიას რეჟისორმა ნათია ახვლედიანმა განსაკუთრებული საჩუქარი მოუმზადა – გიორგი კეკელიძის მიერ დაწერილი წიგნის „დედა და ილია“ ჭუბერის მონოლოგების მიხედვით ტელესპექტაკლი გადაიღო.**

გიორგი კეკელიძე, „დედა და ილია“-ს ავტორი: „ნიდერლანდებში მცხოვრებმა ქართველმა ნათია ახვლედიანმა „დედა და ილია“-ს მნიშვნელოვანი ეპიზოდის, ჭუბერის მონოლოგების მიხედვით, ტელესპექტაკლი გადაიღო.



# «აზდაკის ბაღის» საიუბილეო საღამო

**აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლში ინტეგრირებული თეატრის – „აზდაკის ბაღის“ 10 წლის იუბილისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა, რომელსაც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ლევან მგალობლიშვილი დაესწრო.**

„აზდაკის ბაღის" საიუბილეო საღამოზე თეატრის დაარსების ისტორია გაიხსენეს, მის მნიშვნელობაზე ისაუბრეს და ინტეგრირებული თეატრის სხვადასხვა სპექტაკლებიდან ეპიზოდები წარმოადგინეს.

ღონისძიების ფარგლებში, დამსწრე საზოგადოებას სიტყვით აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარემ მიმართა და ინტეგრირებული თეატრის დასს 10 წლის იუბილე მიულოცა.

ლევან მგალობლიშვილმა „აზდაკის ბაღისთვის“ სახელმწიფო თეატრის სტატუსის მინიჭების თაობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ აფხაზეთის მთავრობა, თეატრს, შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობისთვის შესაბამის სივრცეს გამოუყოფს.



**„მოხარული ვარ, რომ შესაძლებლობა მაქვს, პირადად მივულოცო თეატრს 10 წლის იუბილე. ჩვენი გუნდის ერთობლივი მსჯელობის შედეგად, „აზდაკის ბაღს“ აფხაზეთის სახელმწიფო თეატრის სტატუსი მივანიჭეთ, რომელიც სპეციალურად ამ გადაწყვეტილების მისაღებად გამართულ მთავრობის სხდომაზე იურიდიულ ჩარჩოში მოექცა“**, – განაცხადა **ლევან მგალობლიშვილმა.**

საღამოს საქართველოს კულტურის მინისტრი თინათინ რუხაძე, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და დეოკუპაციის საკითხებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავმჯდომარე გიორგი ვოლსკი, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე ლია გიგაური, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წევრები და უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, საქართველოს პარლამენტის წევრები ესწრებოდნენ.

ინტეგრირებული თეატრი „აზდაკის ბაღი“ 2015 წელს დაარსდა და მისი დასი 20-მდე განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირს, მათ შორის აფხაზეთიდან დროებით დევნილ მსახიობებს აერთიანებს. ინფორმაციას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ავრცელებს.

საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებით ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაზელიძე,**
**გია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

**გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.**

**ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოტანილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.**

იბეჭდება სტამბა
**„კოლორში“**
ე. ბაღდავაძის №3

**uac(უაკ)070.4(479.22)**
**C–323**

2 009882 689431

**რეკლამისთვის დარეკეთ:**
**577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 2 აპრილს**